ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ბიზნესმენი თუ „ბულგარელი განგსტერი“?! – რა იცოდა ფინანსთა სამინისტრომ ლატარიის ახალი კომპანიის ერთ-ერთი მფლობელის შესახებ



გვ.6

22 აგვისტოდან

ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი

ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




სამშაბათი, 22 აგვისტო, 2017

№198 (7433)

ფასი: 50 თეთრი

# დავით დარჩიაშვილი: „თუ მაჟორიტარებმა უმრავლესობა დატოვეს, ივანიშვილი მართლა წასულა პოლიტიკიდან“



გვ.3

საქართველოში მაჟორიტარული არჩევნები არის ხელისუფლების კლანის მიერ ძალაუფლების შენარჩუნების ერთ-ერთი მექანიზმი და მეტი არაფერი





გვ.4

## გია ხუხაშვილი: „ხელისუფლებას უნდა, რომ ზაალ უდუმაშვილი გავიდეს მეორე ადგილზე“



## ვახტანგ მაისაია: „ისლამური სახალიფო ასიმეტრიულ სამხედრო ოპერაციებზე გადავიდა“




გვ.5



„ბარსელონა შემთხვევით არ შეურჩევიათ“

## ნინო ბურჯანაძე: „ინაშვილი მერობის საერთო კანდიდატი თუ იქნებოდა, ამაზე კუკავა და ლორთქიფანიძე თანახმა იყვნენ“



გვ.3

## მიხეილ სააკაშვილი: „მოქალაქეობასთან დაკავშირებით რამდენიმე ევროპული ქვეყნისგან შემოთავაზება მაქვს“



გვ.2

გვ.3

უკრაინელი პოლიტიკოსი სააკაშვილზე: „მივმართავ ჩვენს გმირ მესაზღვრეებს, ნებისმიერს გაუხსნან ცეცხლი, ვინც საზღვარს დაარღვევს“



გვ.3

## თამარ კორძაია: „ოპოზიცია დათმობას კატეგორიულად არ აპირებს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „კრიზისების მართვის საბჭოში უმაქნისი ხალხია“



გვ.2

„გამხმარი წიწვოვანი ხე ფაქტობრივად დინამიტის კაფსულაა, ისე მალე ხდება მისი აალება“

## ეროვნული ბანკი მომხმარებლებს მიმართავს




გვ.4

ISSN 1987-9385

# ლაშა ჩხარტიშვილი: „კრიზისების მართვის საბჭოში უმაქნისი ხალხია“

## „გამხმარი წიწვოვანი ხე ფაქტობრივად დინამიტის კაფსულაა, ისე მალე ხდება მისი აალება“

შორენა მარსაგიშვილი



რატომ არ ყიდულობს ხანძრების ჩასაქრობ თანამედროვე აღჭურვილობას სახელმწიფო, რაში ვუხდით ფულს კრიზისების მართვის საბჭოს, რა მოჰყვება ტყეების გადაწვას, – ამ თემებზე „ახალ თაობას“ დემოკრატიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი **ლაშა ჩხარტიშვილი** ესაუბრება.

***– ლაშა, ამ ზაფხულს საქართველოში ძალიან ბევრი ხანძარი გაჩნდა. საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ეს ხელოვნურად მოხდა, მეორე ნაწილი და ხელისუფლება კი ყველაფერს ზაფხულის ცხელ დღეებს აბრალებს. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

– მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ხანძრებს ხელისუფლება აჩენს, თუმცა ფაქტია, რომ წინა წლებთან შედარებით, ხანძრები ძალიან გახშირებულია, რაც კითხვებს აჩენს. მართალია, ხელისუფლებას ხანძრების გაჩენას არ ვაბრალებ, მაგრამ ამ ხანძრებზე მათ ვაკისრებ პასუხისმგებლობას.

აბსურდია იმის მტკიცებაც, რომ ზაფხულია და ხანძრების თავიდან აცილება შეუძლებელია. 100%-იანი პრევენცია ვერ მოხდება, მაგრამ რაღაც ღონისძიებების გატარება შესაძლებელია. ამაზე კრიზისების მართვის საბჭო, სატყეო დეპარტამენტი უნდა მუშაობდნენ, მაგრამ ისინი სრულ გულგრილობას და არაპროფესიონალიზმს ამჟღავნებენ.

გარდა იმისა, რომ ხანძრებისგან თავის დასაცავად არავითარი პრევენციული ღონისძიება არ ტარდება, ხელისუფლება არც აღდგენით სამუშაოებს ატარებს. ხანძრისგან დაზარალებულ ტყეს აღდგენა სჭირდება. საქართველო არის მთაგორიანი ქვეყანა და ტყეებს, სხვა ფუნქციებთან ერთად, ნიადაგდამცავი ფუნქციაც აქვთ. ამ ნახანძრალ ტყეებს დროზე თუ არ მოჰკიდეს ხელი, არავინ იცის, როდის გადაიქცევა ის მეწყრულ ზონად.

***– ბევრი მითქმა-მოთქმაა ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკაზე. რატომ არ ყიდულობს ხელისუფლება სათანადო ტექნიკას?***

– თანამედროვე ტექნიკის შეძენას დიდი რაოდენობით თანხები სჭირდება. ხელისუფლება კი ფულს მხოლოდ საკუთარი კომფორტისთვის იმეტებს. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მანქანები ემსახურებათ, სამაგიეროდ, ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკაა ძალიან ძველი.

***– ლაშა ყველაზე დიდი ხმაური ღამით ვერტმფრენების გამოყენებას მოჰყვა. ხელისუფლება ამბობს, რომ ასეთი საშუალებები არ გაგვაჩნია. ისინი იმასაც ამტკიცებენ, რომ ღამით შვეულმფრენები არც სხვაგან გამოიყენება ხანძრების ჩასაქრობად. ამაზე რას იტყვით?***

– სუპერ-პუმას ტიპის ვერტმფრენი სწორედ ღამით ფრენისთვის გამოიყენება. რატომ არ იყენებს ხელისუფლება ამ პუმებს, ჩემთვის ცოტა გაუგებარია. ეტყობა, ფიქრობენ, რომ ამ ქვეყანაში დასაწვავი ჯერ კიდევ ბევრია.

ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაგვცეს პასუხი, თუ რატომ არ ხდება ამ ტექნიკური საშუალებების გამოყენება. ამაზე პასუხი პირველ რიგში კრიზისების მართვის საბჭომ უნდა აგოს. მათ თავი ჯერ კიდევ თბილისის სტიქიის დროს „გამოიჩინეს“. იმ ამბების შემდეგ ეს ხალხი თანამდებობაზე აღარ უნდა ყოფილიყო, მაგრამ დღემდე იქ არიან და პრემიებსაც არ იკლებენ.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე გვჭირდება საერთოდ ეს კრიზისების მართვის საბჭო? აუცილებელია სტრუქტურა, რომელიც კრიზისების მართვას კოორდინაციას გაუწევს.

***– თუ ვერ უწევს?***

– მაშინ ასეთი სამსახური უნდა გაუქმდეს. ისეთი სამსახური უნდა შეიქმნას, რომელიც ქმედუნარიანი იქნება. კრიზისების მართვის საბჭოს ეს შემადგენლობა არ ვარგა, მაგრამ ასეთი სამსახური საჭიროა. ჩვენ არ უნდა დავემსგავსოთ სააკაშვილის ხელისუფლებას, რომელმაც მხოლოდ იმიტომ გააუქმა მთელი რიგი სამსახურები, რომ იქ კორუფცია იყო.

სააკაშვილის გადაწყვეტილებით გააუქმეს სანიტარული ინსპექცია, რომელიც დღევანდელმა ხელისუფლებამ არ აღადგინა, რაც არის დანაშაული. არადა ამ სამსახურის საქმიანობა ადამიანების სიცოცხლესთან არის დაკავშირებული.

კრიზისების მართვის საბჭო არის უმაქნისი ხალხით დაკომპლექტებული, მაგრამ ეს სტრუქტურა უნდა შევინარჩუნოთ. უბრალოდ, იქ კადრები უნდა შეიცვალოს. ის თანხა, რაც მათ პრემია-დანამატებში და მანქანებში მიდის, სახანძრო-სამაშველო ტექნიკის შეძენას უნდა მოხმარდეს.

აუცილებლად უნდა მოხდეს პერსონალის გადამზადებაც. ღამით ვერტმფრენებს ალბათ იმიტომ არ იყენებენ, რომ სათანადოდ მომზადებული პილოტები არ ჰყავთ. ღამით ხანძრების ჩაქრობა სავსებით რეალურია. ინტერნეტში პირადად მოვიძიე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ხანძრებს ღამით ვერტმფრენებით აქრობენ.

ამ ხანძრებთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღმერთმა დაგვიფარა და მსხვერპლის გარეშე გადავრჩით. ამასთან, მთლად გადარჩენილებს ვერ ვუწოდებ იმ ხალხს, რომლებსაც ბაზრობებზე დაეწვათ ფართობი. ისინი შემოსავლის გარეშე დარჩნენ, რაც ფაქტობრივად სიკვდილის ტოლფასია.

ბაზრობებზე გაჩენილი ხანძრები ძალიან ბევრ კითხვას აჩენს. ისნის ბაზრობაზე გაჩენილი ხანძარიც საეჭვოა. ხანძრამდე ცოტა ხნით ადრე ისნის ბაზრობის ტერიტორიაზე ფეშენებელური სავაჭრო ობიექტის აშენება იგეგმებოდა. მოვაჭრეებს სავაჭრო ობიექტებიც კი დაულუქეს, მათი გაღება მხოლოდ ჩვენი ჩარევის შემდეგ მოხდა.

ამ ამბებიდან ცოტა ხანში კი ბაზრობა დაიწვა. საინტერესოა ისიც, რომ ხანძარი ღამე გაჩნდა. თბილისში ხანძრები რატომღაც ღამ-ღამობით ჩნდება, რაც თავისთავად საეჭვოა.

ისევ ხეების სავალალო მდგომარეობას დავუბრუნდები. ტყეები, რომლებიც საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ხანძრების გარდა სხვა მეთოდებითაც ნადგურდება. ყოველ საარჩევნო წელს მოსახლეობას შეშის ლიმიტს უზრდიან, რაც ყოვლად დაუშვებელია.

***– მოსახლეობას შეშა სჭირდება და შეშის მოპოვებას ვერ აკრძალავთ.***

– კი ბატონო, მაგრამ უნდა იყოს ოპტიმალური რაოდენობა და საარჩევნო წელს არ უნდა მოხდეს ლიმიტის გაზრდა. ხელისუფლებამ რაღაც სხვა გზა უნდა მოიძიოს, შეშასაც კი ვერ აუდის ჩვენი ტყეები. სხვადასხვა სპეციალისტების შეფასებით, საქართველოში შეშაც კი ათჯერ მეტი იჭრება, ვიდრე ახალი მერქნის აღმოცენება ხდება. მხოლოდ შეშა მოუღებს ჩვენს ტყეებს ბოლოს. ამას დაუმატეთ ხანძრები და ვითომდა სანიტარული ჭრები.

ხანძრების პრევენციისთვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მეტყევეები, მაგრამ საქართველოში მათი რაოდენობა მინიმალურია.

ხანძრების ყველაზე დიდი პრევენცია გამოძიებაა, თუმცა გამოძიება ჩვენში უკვე სახუმარო თემად არის ქცეული.

***– სახუმარო თემად რატომ?***

– იმიტომ, რომ არავის სჯერა გამოძიების. აბა გამახსენეთ ბოლომდე გამოძიებული რომელიმე საქმე. ამ შემთხვევაში მარტო ხანძრებზე არ ვსაუბრობ. ხანძრებთან დაკავშირებით კი საერთოდ არაფერი გაუკეთებიათ. ერთი დამნაშავე რომ მაინც დასაჯონ, სხვა ამას აღარ გააკეთებს.

ადამიანებს პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაშიც უნდა დაეკისროს, თუ ხანძარი შემთხვევით ან დაუდევრობით გააჩინა, სხვა დროს ისიც გაფრთხილდება და სხვაც.

პარაზიტებთან და მავნებლებთან დაკავშირებითაც სავალალო მდგომარეობაა. ხელისუფლება ამ მიმართულებით არაფერს აკეთებს. გატარებული ღონისძიებები მიზერულია. ამის გამო საქართველოს მასშტაბით ხეები მასობრივად ხმება. იმის მაგივრად, რომ პარაზიტებთან საბრძოლველად გამოყონ სახსრები, ფულს საკუთარი კომფორტის შექმნაზე ხარჯავენ.

ზემოთ ხეების სანიტარული ჭრა ვახსენე, იმის მაგივრად, რომ გამხმარი ხეები მოჭრან, ჯანსაღ ხეებს ჭრიან. ეს არ არის შეცდომა, ჯანსაღ ხეებს იმიტომ ჭრიან, რომ იქ კორპუსები ააშენონ. გამხმარი ხეები კი არავის აინტერესებს.

მინდა ხელისუფლებას შევახსენო, რომ გამხმარი ხეები ხშირად ხდება ხანძრის გამომწვევი მიზეზი. განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა უნდა მოხდეს მაშინ თუ საქმე გამხმარ წიწვოვანებთან გვაქვს. გამხმარი წიწვოვანი ხე ფაქტობრივად დინამიტის კაფსულაა, ისე მალე ხდება მისი აალება.

# მამუკა მდინარაძე: „ოპოზიციასთან შეხვედრის მეორე რაუნდი დამოკიდებული იქნება მათ პასუხებზე“



– მმართველი გუნდი ყველა ოპოზიციური პარტიისგან ელოდება პასუხს, რა შემთხვევაში დაუჭერს ან არ დაუჭერს მხარს ახალი კონსტიტუციური ცვლილებების პროექტს, – ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

მისი თქმით, სწორედ ოპოზიციის პასუხებზე იქნება დამოკიდებული მმართველი გუნდის პოზიცია და ასევე, ოპოზიციასთან შემდეგი შეხვედრის თარიღი.

– ოპოზიციასთან შეხვედრის მეორე რაუნდი დამოკიდებული იქნება მათ პასუხებზე. ვფიქრობ, ამ დღეებში დაასრულებენ ოპოზიციური პარტიები პასუხის გაცემას ჩვენს მთავარ კითხვაზე – რა შემთხვევაში დაუჭერენ ან არ დაუჭერენ მხარს ახალი კონსტიტუციური ცვლილებების პროექტს. შესაბამისად, მთავარ კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ საშუალება გვექნება, უფრო კონკრეტული პასუხები გავცეთ, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

# მიხეილ სააკაშვილი: „მოქალაქეობასთან დაკავშირებით რამდენიმე ევროპული ქვეყნისგან შემოთავაზება მაქვს“

– მოქალაქეობასთან დაკავშირებით რამდენიმე ევროპული ქვეყნისგან მაქვს შემოთავაზება, – ამის შესახებ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოში აცხადებს.

თუმცა, როგორც სააკაშვილი განმარტავს, არ შეუძლია შორიდან უყუროს იმას, რაც უკრაინაში ხდება.



– როგორც იცით, 10 სექტემბერს უკრაინაში დაბრუნება გადავწყვიტე. ბევრი მირჩევს, არ გავაკეთო ეს. მოქალაქეობასთან დაკავშირებით რამდენიმე ევროპული ქვეყნისგან მაქვს შემოთავაზება, საქმისა და შემოსავლის გარეშეც არ დავრჩები. მაგრამ კარგად მახსოვს, თავის დროზე პუტინის მითითებით რუსმა ოლიგარქმა ივანიშვილმა ჩემ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეები როგორ აღძრა, რომ მე ქართულ პოლიტიკაში მონაწილეობა არ მიმეღო. ზუსტად ასე, პოროშენკომ განკარგულება გამოსცა, უკრაინაში გზა დამიხურა და საქართველოში ექსტრადირებით მემუქრება. თუმცა, ამავდროულად უკრაინის სრული განადგურება მიმდინარეობს. ახმეტოვმა ხელში ჩაიგდო მსხვილი ენერგეტიკული სექტორი, რაც ნიშნავს, რომ უკვე შემოდგომიდან უკრაინელები მის და პოროშენკოს ჯიბეში უფრო მეტს გადაიხდიან ტარიფების სახით.

ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს დირექტორმა სიტნიკმა განაცხადა, რომ მისი ყველა საქმე დეპუტატების, პოროშენკოს გარემოცვის წინააღმდეგ დაბლოკილია უკრაინის სასამართლოებში. ამის ფონზე, შორიდან ვუყურო ყველაფერ ამას? არავითარ შემთხვევაში, – აცხადებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი.

მისი თქმით, როგორიც არ უნდა იყოს შანსები, ის ჩაერთვება ამ ბრძოლაში.

– მე დავპირდი უკრაინელ ხალხს, რომ მათ მხარეს ვიქნები. მე „ბარიგების“ მხარეს არ დავმდგარვარ, თუმცა ბევრჯერ შემოუთავაზებიათ ჩემთვის ეს. უკრაინელი პოლიტიკოსების ახალგაზრდა თაობასთან ერთად ჩვენ აუცილებლად შევცვლით ამ რეალობას. უკრაინა ევროპის ზესახელმწიფო გახდება. უკრაინელები ნორმალურად ცხოვრებას დაიწყებენ. შეუძლებელია იმის გაგრძელება, რაც ახლა ხდება. მე თქვენი დიდი იმედი მაქვს. რა თქმა უნდა, ცალ-ცალკე ჩვენ გაგვანადგურებენ, მაგრამ თუ ერთად დავდგებით, ჩვენ ვერაფერს გვიზამენ. შეხვედრამდე უკრაინა-პოლონეთის საზღვარზე, – დასძენს მიხეილ სააკაშვილი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით დარჩიაშვილი: „თუ მაჟორიტარებმა უმრავლესობა დატოვეს, ივანიშვილი მართლა წასულა პოლიტიკიდან“

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **დავით დარჩიაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო დავით, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებზე ოპოზიციასთან მეორე შეხვედრა მათ პასუხზე იქნება დამოკიდებული. ელოდით ამ პოზიციას?***

– დიახ, ასეთი უტიფრობა მოსალოდნელი იყო. მიუხედავად იმისა, თუ როგორ იქცევა პარტნიორი, შენი ნაბიჯი ბოლომდე უნდა გადადგა და არც ერთი კითხვის ნიშანი არ უნდა დატოვო. მოითხოვეს ოპოზიციის პოზიციის წერილობით დაფიქსირება, მიიღეს წერილობით. სხვა კიდევ რა პასუხს ელოდებიან?! გაუგებარია.

ეს პროცესი ერთ რამეზე მიანიშნებს – როგორმე ხელისუფლებაში ყოფნა ნებისმიერ ფასად გაიხანგრძლივონ. ასეთი რამ ბევრს დამართნია, ბევრ ხელისუფალს, ახლა, როგორც ჩანს, ამათი ჯერი მოვიდა. ეს სურვილი იმდენად მძაფრია, რომ ამას აკეთებენ ყველაფრის ფასად.



მაგალითად. თუ რაღაცა ლოგიკაში არ ჯდება, ლოგიკაზე ამბობენ უარს, ოღონდ იყვნენ. ეს არ დამთავრდება მათ სასარგებლოდ არანაირად.

***– 6 სექტემბერს სტრასბურში დანიშნული შეხვედრა იყო ოპოზიციასთან კონტაქტის მიზეზი?***

– საერთაშორისო საზოგადოებასთან ბოლომდე რომ არ უნდათ ხიდები დაწვან, ეს გასაგებია, ამდენი ჭკუა ჰყოფნით. თუმცა, მაინც ასე გამოსდით, რადგან არანაირ კონსტრუქციულ ნაბიჯს არ დგამენ. მთელი პოლიტიკური სპექტრი არის შეთანხმებული, რომ 2020 წელსვე უნდა გადავიდეთ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე, მაგრამ ხელისუფლება დაჟინებით უარზეა, არადა ეს თავის დროზე მისი პოზიციაც იყო.

რაც უნდა ილაპარაკოს ოქრიაშვილმა, საქართველოში მაჟორიტარული არჩევნები არის ხელისუფლების კლანის მიერ ძალაუფლების შენარჩუნების ერთ-ერთი მექანიზმი და მეტი არაფერი. მაჟორიტარობა სულაც არ ნიშნავს რაიონზე განსაკუთრებულ ზრუნვას და არც არაფერს არ ნიშნავს გარდა იმისა, რაც გითხარით, ხელისუფლების კლანს უადვილებს ხელისუფლებაში დარჩენას. ყველა შეთანხმდა, რომ ამაზე უარი უნდა ვთქვათ და ეს ნაბიჯი ერთხელ და საბოლოოდ უნდა გადავდგათ.



***– რამდენად იყო მოსალოდნელი ოქრიაშვილის გამოჩენა, ეს იყო ერთგვარი სიგნალი?***

– ოქრიაშვილს დაუძახეს და გამოჩნდა, ვითომ ის არის ამ ყველაფრის მიზეზი. არადა ოქრიაშვილი არ არის ამ ყველაფრის მიზეზი თავისი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ოქრიაშვილი ახმოვანებს იმას, რაც ხელისუფლების მმართველ გუნდს, ივანიშვილის ჩათვლით, უნდა.

***– ოქრიაშვილი არ გამორიცხავს, რომ თუ მისი პოზიციის საწინააღმდეგოდ განვითარდა მოვლენები, დატოვონ მაჟორიტარებმა საპარლამენტო უმრავლესობა. ამით „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ხომ დაეშლება და მათთვის მოვლენები შეიძლება არცთუ სახარბიელოდ განვითარდეს.***

– ეს არის შანტაჟის უბადრუკი მცდელობა, რომელსაც ივანიშვილის უმრავლესობა ახორციელებს. თუ მაჟორიტარებმა საპარლამენტო უმრავლესობა დატოვეს, ეს ნიშნავს, რომ ივანიშვილი მართლა წასულა პოლიტიკიდან.

***– მოვლენების ასე მძაფრად განვითარებას ელოდებით? შეიძლება „ქართულ ოცნებას“ ოქრიაშვილი მართლაც გაწუდგეს?***

– მე სულაც არ მიმაჩნია, რომ ოქრიაშვილის განდგომა მძაფრი მოვლენა იქნება. „ქართული ოცნება“ რომ დაიშლება ხვალ თუ არა ზეგ, ამაში დარწმუნებული ვარ.

***– რატომ ხართ დარწმუნებული? რა სიმპტომია ამის?***

– სიმპტომი ის არის, რომ აბსოლუტურად არაბუნებრივი და არალოგიკური ხელისუფლებაა, მათი ერთად ყოფნა მხოლოდ ხელისუფლებაში ყოფნის სურვილით არის განპირობებული. ამ სურვილის გარდა, ისინი არაფერს ასხივებენ. რაც უნდა ბევრი შეცდომა ჰქონოდა სააკაშვილის ხელისუფლებას და ნამდვილად ჰქონდა ეს შეცდომები, რაღაც იდეას ასხივებდა, ხედვა ჰქონდა.

***– ამ ხელისუფლებას არ აქვს იდეა?***

– მათი იდეაა, მე და ჩემი ოჯახის წევრები მამყოფეთ ხელისუფლებაში, მოგვეცით პრემიები და მოგვეცით საშუალება, გავიმარჯვოთ ტენდერებში. ეს დამოკიდებულება საქართველოსნაირ ქვეყანაში დიდხანს ვერ გაგრძელდება.

***– ოპოზიცია, მიუხედავად თავისი სიჭრელისა, ერთიან მოთხოვნაზე ჩამოყალიბდა. ეს მოთხოვნა ცნობილია: 2020 წელს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა და პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა. რთული პროცესი უძღოდა წინ ამ შეთანხმებას?***

– ვისაც გაგების უნარი აქვს, ეს უნდა იყოს ნათელი სიგნალი, რომ საქართველოში აღარ დარჩა პოლიტიკური ძალა, ვისაც სურს არსებული მოდელის დატოვება. არსებულის დატოვება მხოლოდ სახელისუფლო ძალას სურს, რომელსაც უბრალოდ ღუმელთან ყოფნა უნდა და სულაც არ ადარდებს იდეები, პროგრამები და ა.შ. თუ ხელისუფლებას ოდნავ მაინც შერჩა რაციონალიზმი, ამას ანგარიში უნდა გაუწიოს.

***– ვინაიდან ხელისუფლებამ ორი მოსმენით მიიღო კონსტიტუციის ახალი პროექტი, ფიქრობდა, რომ მარტივად გაიტანდა?***

– არ გამოვრიცხავ, რომ ეკა ბესელიას, ბატონ მდინარაძეს ძალიან ზერელე წარმოდგენა ჰქონდეთ პოლიტიკურ სისტემებზე, საერთოდ პოლიტიკურ პროცესებზე, საერთაშორისო კონიუნქტურამ რა შეიძლება გიკარნახოს ან რა პოლიტიკური რეალობის წინაშე დაგაყენოს. ის საერთაშორისო კონიუნქტურა, რაც არის ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მართლაც შეიძლება მათთვის სიურპრიზი იყო და არც მოელოდნენ, რომ პროცესი უკან დასაბრუნებელი ექნებოდათ, მაგრამ რაღაც ხომ უნდა ისწავლონ! ბევრ რამეს უნდა გაუწიონ ანგარიში, თუ არ სურთ, რომ ხელისუფლებაში ყოფნა ცუდად დაამთავრონ.

# თამარ კორძაია: „ოპოზიცია დათმობას კატეგორიულად არ აპირებს“

„რესპუბლიკური პარტია“ უერთდება დანარჩენი ოპოზიციური პარტიების მოთხოვნას, რომელიც 2020 წლისთვის პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლასა და პრეზიდენტის არჩევის წესს ეხება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა თამარ კორძაიამ განუცხადა, ხელისუფლებას ოპოზიცია წერილობით კიდევ ერთხელ გადაუგზავნის მოთხოვნებს, რომ აღნიშნულ საკითხებზე დათმობას კატეგორიულად არ აპირებენ.



აქედან გამომდინარე, კორძაიას თქმით, გაირკვევა, მმართველ გუნდს ნამდვილი დიალოგი თუ დიალოგის იმიტაცია სურს.

– მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ იმ შეხვედრაზე ყველამ, ცალსახად და ერთი ხმით, უმრავლესობას ვუთხარით, რომ დიალოგის დაწყების საფუძველი პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლაა, უმრავლესობის ლიდერმა მაინც მოგვთხოვა, რომ ეს მოთხოვნები წერილობით გაგვეგზავნა. კიდევ ერთხელ ვეტყვით, რომ ჩვენ მხოლოდ ამ საკითხზე ვაპირებთ საუბარს და თუ მზად არიან, კი ბატონო, ვისაუბრებთ. ახლა ის დოკუმენტი შეჯერდება, მაგრამ უკვე, პრაქტიკულად, ძირითადი ოპოზიციური პარტიები შეთანხმებული ვართ ამაზე.

თუ ხელისუფლებას უჭირს იმის გააზრება, რომ ჩვენ იქ მკაფიო ვიყავით და ასეთივე მკაფიო დავრჩებით მუდმივად, მაშინ ეს უკვე ოპოზიციის პრობლემა ნამდვილად არ არის.

ჩვენ იმ შეხვედრაზე მკაფიოდ ვთქვით, რომ ნომერ პირველი საკითხია პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა 2020 წლიდან თავისი კომპონენტებით. ამაზე თუ მოდის ხელისუფლება, მაშინ ვიწყებთ დიალოგს. მე-2 იყო პლებისციტის ჩატარება პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით. ახლა, კიდევ ერთხელ ვეტყვით, რომ ჩვენ იქ რაც ვთქვით, ის საკითხები ისევ დღის წესრიგში დგას. თუ ვინმე გადავა, მაშინ ის პასუხისმგებლობას თვითონ აიღებს, მაგრამ იმ შეხვედრაზე არც ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის პოზიცია საეჭვო ნამდვილად არ ყოფილა. ფაქტია, რომ იმ შეხვედრაზე ყველა პროპორციულზე გადასვლას ითხოვდა, – განაცხადა თამარ კორძაიამ.

კითხვაზე, თუ ხელისუფლებამ პოზიცია არ დათმო, როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს, თამარ კორძაია პასუხობს, რომ „ამ შემთხვევაში ერთი პარტია აიღებს პასუხისმგებლობას იმ ცუდ საკონსტიტუციო ცვლილებებზე, რომელიც მან 2 მოსმენით მიიღო''.

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ მმართველ გუნდსა და ოპოზიციურ პარტიებს შორის საკონსტიტუციო რეფორმის საკითხზე შეხვედრა გაიმართა, რომელზეც უმრავლესობის წევრებმა ოპოზიციას საკუთარი მოთხოვნების წერილობით გადაგზავნა სთხოვეს.

# უკრაინელი პოლიტიკოსი სააკაშვილზე: „მივმართავ ჩვენს გმირ მესაზღვრეებს, ნებისმიერს გაუხსნან ცეცხლი, ვინც საზღვარს დაარღვევს“

უკრაინის „რადიკალური პარტიის“ ლიდერი ოლეგ ლიაშკო საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის უკრაინაში დაბრუნების გეგმებს ეხმაურება.

– მხოლოდ უკრაინის მტრებს შეუძლიათ სააკაშვილის ისტერიულ მოწოდებას გამოეხმაურონ, მას უკრაინის საზღვრის გარღვევაში დაეხმარონ. უკრაინის საზღვრის ურღვევობის ხელყოფა ეს ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის აუღიარებლობაა. ეს უკრაინის დამცირებაა! – აღნიშნავს პოლიტიკოსი სოციალურ ქსელში.

მისი თქმით, სააკაშვილმა საუკეთესო ადვოკატები უნდა აიყვანოს და სასამართლოში წავიდეს.

– სააკაშვილი უკმაყოფილოა იმით, რომ მისმა მეგობარმა პოროშენკომ მას პასპორტი წაართვა, რომელიც უკანონოდ მიიღო. დაიქირავოს საუკეთესო ადვოკატები და სასამართლოში წავიდეს, მაგრამ ჩემი ქვეყნის საზღვრები წმინდა და ხელშეუხებელია. ამიტომაც ჩვენს გმირ მესაზღვრეებს მივმართავ, ნებისმიერს გაუხსნან ცეცხლი, ვინც საზღვარს დაარღვევს. ვინც ჩვენი საზღვრების ურღვევობას ხელყოფს, უკრაინის მტერია, – განაცხადა ოლეგ ლიაშკომ.

ლიაშკომ ასევე აღნიშნა, რომ სააკაშვილს ეზიზღება უკრაინის სახელმწიფოებრიობა, დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

– რატომ არ არღვევს ის საქართველოს საზღვარს? იმიტომ, რომ პატივს სცემს თავის მშობლიურ საქართველოს. უკრაინა მისთვის უცხოა, ამიტომაც ასე ამცირებს მას. არავის მივცემ უფლებას, დაამციროს ჩემი სამშობლო, – დასძინა მან.

# ნინო ბურჯანაძე: „ინაშვილი მერობის საერთო კანდიდატი თუ იქნებოდა, ამაზე კუკავა და ლორთქიფანიძე თანახმა იყვნენ“



– ჩვენ არ ვიქნებოდით წინააღმდეგი, თუკი პრინციპულ საკითხად იქნებოდა დაყენებული, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი ყოფილიყო მერობის საერთო კანდიდატი, ამაზე კახა კუკავა და დიმიტრი ლორთქიფანიძე თანახმა იყვნენ, – ამის შესახებ ჟურნალისტებს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ განუცხადა. დღეს „თავისუფალმა საქართველომ“ და „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ თბილისის მერობის კანდიდატად კახა კუკავა, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად დიმიტრი ლორთქიფანიძე წარადგინა.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ერთიანი ოპოზიცია ყველა ოპოზიციურ პარტიასთან, მათ შორის, ლეიბორისტებთან და „პატრიოტთა ალიანსთან“ მართავდა კონსულტაციებს მერობისა და საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატთან დაკავშირებით. თუმცა, ბურჯანაძის განმარტებით, „პასუხი არ გვქონდა ბოლო წუთამდე „პატრიოტთა ალიანსის“ მხრიდან, რას აპირებდნენ და ტელევიზიით გავიგეთ მერობის კანდიდატის დასახელების თაობაზე“.





ნინო ბურჯანაძის განმარტებით, „პატრიოტთა ალიანსის“ ეს გადაწყვეტილება პარტიულ კომფორტს უკავშირდება.

– ყველამ კარგად ვიცით, რომ არც ერთ პოლიტიკურ ძალას, ცალკე არც „პატრიოტთა ალიანსს“, მათ შორის, არც სხვა რომელიმე პოლიტიკურ ძალას, მარტო აღებულს არ აქვს არანაირი მეთოდი ხელისუფლების დამარცხების. ყველას ვესაუბრებოდით, „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ გარდა. ვინაიდან ჩემთვის „ევროპული საქართველო“ არის „ნაციონალური მოძრაობა“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ჩვენთვის არის ის პოლიტიკური ძალა, რომელიც უნდა ჩამოშორდეს პოლიტიკურ ცხოვრებას, მით უფრო, მას შემდეგ, რაც „ევროპულმა საქართველომ“ კარგად მოახერხა ივანიშვილთან გარიგება საკუთარი ინტერესების და პარლამენტში მოხვედრის მიზნით, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.



# გია ხუხაშვილი: „ხელისუფლებას უნდა, რომ ზაალ უდუმაშვილი გავიდეს მეორე ადგილზე“

ნონა ცაბაძე

მერობის კანდიდატების შანსებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი **გია ხუხაშვილი** აფასებს.

***– ბატონო გია, წინასაარჩევნო პერიოდი აქტიურ ფაზაში შედის. მარათონს მერობის ახალი კანდიდატები ემატებიან. ვის რა შანსები აქვს?***

– ამ არჩევნების მთავარი ინტრიგა გახლავთ ის, რომ მეორე ტური მაღალი ალბათობით უნდა ვივარაუდოთ. რაც ყველაზე საინტერესოა, ოპოზიციური კანდიდატებისთვის მთავარი ინტრიგა არის ის, თუ ვინ გავა მეორე ადგილზე.

მაღალი ალბათობაა, რომ სახელისუფლო კანდიდატი გავა პირველ ადგილზე, მაგრამ ძალიან დიდი შანსია, რომ პირველ ტურში ვერ დასრულდეს ეს ყველაფერი და აქ უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ გავა მეორე ადგილზე. თუ მეორე ადგილზე გავიდა ისეთი კანდიდატი, რომელსაც არ ექნება ხიდები დამწვარი თავისი ოპოზიციური კონკურენტების ელექტორატთან და მოახერხებს მობილიზებას ყველა ოპოზიციური ხმის, ხელისუფლებას წარმოექმნება ძალიან დიდი პრობლემა.

***– და ვინ გეგულებათ ასეთ კანდიდატად?***

– ასეთი კანდიდატი არის დამოუკიდებელი კანდიდატი, რომელიც ამ პარტიულ ანტაგონიზმში არ არის ჩართული.

***– ალეკო ელისაშვილს გულისხმობთ?***

– დავუშვათ. ეს ისეთი კანდიდატია, რომელსაც ხმას მისცემდა ორივე რადიკალურად დაპირისპირებული მხარის ელექტორატი. სწორედ აქ არის ხელისუფლების მთავარი პრობლემა.

ამ არჩევნებზე „ოცნებამ“ ველარ მოახერხა ორპოლუსიანობის შექმნა, როდესაც ამომრჩეველი ირჩევდა თეთრის და შავის პრინციპით. ხელისუფლება წინა არჩევნებზე იმას კი არ ამტკიცებდა, რომ თავად იყო კარგი, ის ამბობდა, რომ მე თუ არა, მაშინ იქნება ნაციონალური მოძრაობა და დაიღუპება ქვეყანა. ეს იყო მისი მთავარი ნეგატიური გზავნილი.

***– დღეს ეს მოცემულობა შეიცვალა?***

– ამ არჩევნებზე ეს გზავნილი აღარ არის ეფექტური და აქედან გამომდინარე ხელისუფლებას წარმოექმნა სერიოზული პრობლემა. მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლების მხრიდან კახი კალაძეზე არჩევანის შეჩერება იყო სერიოზული შეცდომა.

***– რატომ იყო შეცდომა?***

– მიუხედავად გარკვეული პოპულარობისა, კახი კალაძეს აქვს სერიოზული ანტირეიტინგი. კი, შეიძლება ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების ფონზე მას პოზიტიური რეიტინგიც ჰქონდეს, მაგრამ აგრეთვე მაღალი აქვს ნეგატიური რეიტინგი. მისი სამობილიზაციო რესურსი შეზღუდულია. ამას სჯობდა, რომ არაფრისმთქმელი კანდიდატი ჰყოლოდა „ოცნებას“. შეიძლება დიდი ავტორიტეტი არ ჰქონოდა, მაგრამ ანტაგონიზმი მის მიმართ ყოფილიყო დაბალი.

***– „ოცნებას“ არაცნობადი სახე უნდა წარედგინა მერობის კანდიდატად?***

– დიახ და ამით ეცადა ასეთი კანდიდატისკენ წამოეყვანა ნეიტრალური ამომრჩეველი, მაგრამ დღეს ისიც ვერ მოჰყავთ, რადგან კახი კალაძის მიმართ ბევრს უბრალოდ აქვს აგრესია!

***– რაში გამოიხატება ეს აგრესია, ან რატომ დაგროვდა? ყველა ამბობს, რომ კალაძე ძლიერი კანდიდატია.***

– მე დღეს არ მინდა დეტალებში შესვლა ძალიან ბევრი მიზეზის გამო. ეს არ არის დაგროვილი აგრესია. აქ ძალიან ბევრი რამე მონაწილეობს. ადამიანებს არ მოსწონთ ისეთები, რომლებიც ძალიან თანამედროვეობაზე დებენ თავს და სინამდვილეში, შინაარსობრივად არ შეესაბამებიან ამ ახალ ტექნოლოგიებს.

***– რისი თქმა გსურთ, რომ ხალხს მისი პოპულარობა და „კაიტიპობა“ აღიზიანებს?***

– სიყალბე იგრძნობა მის კამპანიაში. ერთი მხრივ, ეს კამპანია თითქოს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობს, მაგრამ კახი კალაძე ძალიან ყალბად გამოიყურება ამ კამპანიაში და თბილისელი ამომრჩეველი ამას გრძნობს. ვინც ეს კამპანია დაგეგმა, მძიმე შეცდომა დაუშვა. საარჩევნო მარათონში წარმატების მისაღწევად მთავარია ნატურალიზმი, ანუ ადამიანის გულებთან მისვლა. ეს შეფუთვები მთლად ხარისხიანი ვერ არის, მიუხედავად იმისა, რომ ახალ ტექნოლოგიებს იყენებენ. ეს პირიქით, უკუ-რეაქციას იწვევს.





***– არადა სრულიად საპირისპირო შეფასებები გვესმის, რომ კალაძეს ძალიან კარგი პიარი აქვს, ის უბრალო ადამიანია და სწორედ ამით იგებს. თქვენ საპირისპიროს ამტკიცებთ.***

– ეს არის სიტყვები. ეს არის მიზანი თვითონ კამპანიის, რომ ის არის უშუალო ადამიანი, რომ მას არ აქვს ადამიანებთან ურთიერთობის პრობლემა და ასე შემდეგ. თუმცა ადამიანებმა იციან, რომ მისი სოციალური სტატუსი, მათგან განსხვავებით, არის საკმაოდ მაღალი და ამ ფონზე ის ამ როლს თამაშობს.

რა თქმა უნდა, მას მხარდამჭერებიც ჰყავს და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, მაგრამ მისი ანტირეიტინგი იზრდება დღითიდღე. ეს ანტირეიტინგი ისეთი ტიპის არჩევნებში, სადაც მეორე ტურის ალბათობა არის მაღალი, შეიძლება მისთვის აღმოჩნდეს პრობლემატური. მიუხედავად იმისა, რომ კალაძე პირველ ტურში პირველ ადგილზე გავა.

***– ვინც პირველ ტურში პირველ ადგილზე გადის, მეორე ტურშიც ის იმარჯვებს.***

– ეს ძალიან გამარტივებაა მიდგომის. დღეს საკმაოდ ჭრელი ველია და კანდიდატებიც ძლიერები არიან. მაგალითად, მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა რომ მონაწილეობდეს და სხვები იყვნენ სუსტი კანდიდატები და ნაციონალებს გარანტირებული რომ ჰქონდეთ მეორე ადგილზე გასვლა, ამ შემთხვევაში, კი ბატონო, ჩვენ შეგვიძლია ასეთი პროგნოზი გავაკეთოთ.

***– რას გულისხმობთ კონკრეტულად?***

– მე ვგულისხმობ იმას, რომ თუ ზაალ უდუმაშვილი გადის მეორე ადგილზე, კალაძის შანსები ხდება ძალიან მაღალი. მაგრამ თუ ზაალ უდუმაშვილი ვერ გადის მეორე ადგილზე და გადის სხვა, მაგალითად, ალეკო ელისაშვილი, ამ შემთხვევაში კახი კალაძეს სერიოზული პრობლემა ექმნება.

***– ანუ მეორე ტურში ელისაშვილი კალაძეს მოუგებს?***

– კი, ასეა და რატომ? იმიტომ, რომ ელისაშვილს ხმას მისცემს ყველა სხვა პარტიის ელექტორატი, მთელი დანარჩენი ოპოზიცია და ეს უკვე არითმეტიკულად ელისაშვილს უზრდის შანსებს. ხოლო უდუმაშვილის გასვლის შემთხვევაში, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს იგივე პატრიოტთა ალიანსის ამომრჩეველი და ელისაშვილის ამომრჩეველი ხმას არ მისცემს.

***– ხელისუფლებას აწყობს მეორე ადგილზე უდუმაშვილის გასვლა?***

– რა თქმა უნდა, ხელისუფლებას სიტუაციის ასეთი განვითარება აწყობს. პარადოქსია, მაგრამ დღეს ხელისუფლების ინტერესებშია, რომ ზაალ უდუმაშვილი გავიდეს მეორე ადგილზე.

***– საუბარია იმაზეც, რომ ირმა ინაშვილის გამოჩენამ ალეკო ელისაშვილს დააკარგვინა ამომრჩეველი. ასეა?***

– რა თქმა უნდა, მათ ელექტორატში არის კვეთა, მაგრამ მე ამ მოსაზრებას არ გავიზიარებდი. შესაძლოა, გარკვეულწილად გადადინება მოხდეს, მაგრამ ელისაშვილსაც და ინაშვილსაც მიჰყავს კახი კალაძის სამობილიზაციო ელექტორატი. ზუსტად ეს არის „ქართული ოცნების“ პრობლემა ამ შემთხვევაში. არც ეს გადადინება-გადმოდინებაა პრობლემა და გეტყვით, რატომ.

***– რატომ?***

– ოპოზიციური კანდიდატების ამოცანა არ არის პირველ ტურში არჩევნების მოგება, რაც ისედაც შეუძლებელია. მათი ამოცანაა მეორე ადგილზე გასვლა. ფაქტობრივად პირველი ტური არის პრაიმერიზი ოპოზიციურ კანდიდატებს შორის.

***– გაერთიანდნენ ნინო ბურჯანაძის და კახა კუკავას პარტიები, მათი მერობის კანდიდატი სწორედ კახა კუკავაა. მას რა შანსები აქვს?***

– კუკავა საერთოდ ძალიან საინტერესო ფიგურაა ქართულ პოლიტიკაში. მას განვითარებული აქვს საინტერესო პოლიტიკური უნარები. ასე რომ, მისი შემოსვლა ამ არეალში დამატებითი პრობლემაა კახი კალაძისთვის. უკვე რამდენიმე კანდიდატი დასახელდა, რომლებსაც მიაქვთ „ქართული ოცნების“ სამობილიზაციო ელექტორატი. კუკავას შანსებზე დიდი ოპტიმიზმი არ მაქვს.

ყველაზე მომგებიანი დღეს არის არაპარტიული პროექტი თბილისში. თბილისელებს აქვთ ძალიან ცუდი გამოცდილება როგორც ამ ხელისუფლების, ისე წინა ხელისუფლების. ეს არის კორუფცია, ნეპოტიზმი და პარტიული აქტივისტების დასაქმება.

***– ანუ ელისაშვილმა მოიგო იმით, რომ დამოუკიდებელ კანდიდატად დარჩა?***

– რა თქმა უნდა! თბილისელ ამომრჩეველს აქვს მოლოდინი, რომ თუ პარტიული კანდიდატი გახდა თბილისის მერი, ის აუცილებლად დაიწყებს პარტიული ვალდებულებების აღსრულებას თბილისის ხარჯზე და ეს აფრთხობს ამომრჩეველს.

ალეკო ელისაშვილის ლოზუნგი, რომელიც ამბობს, რომ გაწმენდს თბილისის მერიას პარტიული და კლანური ინტერესებისგან, არის ყველაზე მომგებიანი ლოზუნგი დღევანდელ ვითარებაში. ამომრჩეველს კი ეჭვი ეპარება, რომ ალეკო ელისაშვილს შეუძლია ამის გაკეთება და სწორედ აქ არის ალეკო ელისაშვილის პრობლემა. თუ ელისაშვილი დაარწმუნებს ამომრჩეველს, რომ მას მარტო ამის სურვილი კი არა, ამის ძალაც აქვს, ამ შემთხვევაში ყველაზე პერსპექტიული კანდიდატი გახდება!

# ეროვნული ბანკი მომხმარებლებს მიმართავს

საქართველოს ეროვნული ბანკი მომხმარებლებს კიდევ ერთხელ შეახსენებს 2017 წლის იანვარში სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის და ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის თითოეულ დღეზე დაკისრებული პირგასამტეხლოსა და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის მაქსიმალურ ოდენობას განსაზღვრავენ.




– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის 2017 წლის 15 იანვარს ამოქმედებული ცვლილების თანახმად, შეიზღუდა სესხისთვის განსაზღვრული მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთისა და ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისთვის თითოეულ დღეზე დაკისრებული პირგასამტეხლოსა და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობები. კანონმდებლობის მიხედვით, სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 100 პროცენტს, ხოლო თითოეულ დღეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის წლიურ 150 პროცენტს. აღნიშნული ცვლილებები ეხება ნებისმიერ გამსესხებელს, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებს. დამატებით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მოცემული კანონის მოთხოვნების უკეთ გაცნობიერებისთვის შეიმუშავა შესაბამისი განმარტებები.

ამავე კანონის 625-ე მუხლის მე-7 ნაწილში შესული ცვლილების შესაბამისად, ფიზიკურ პირზე 100.000 ლარამდე მოცულობის სესხის გაცემა ნებისმიერი სესხის გამცემი პირის მიერ მხოლოდ ლარში უნდა განხორციელდეს.

ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით ვაცნობებთ საზოგადოებას, რომ დადგენილი მოთხოვნების დარღვევით დადებული ხელშეკრულებები, მხარეთა შორის დავის შემთხვევაში, შესაძლოა ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი გახდეს, რასთან დაკავშირებითაც დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი, ერთი მხრივ, მოუწოდებს ორგანიზაციებს, დაიცვან კანონის მოთხოვნები, მეორე მხრივ კი, მიმართავს მომხმარებლებს, გონივრულად მართონ საკუთარი ფინანსები და სესხების აღებამდე დეტალურად გაეცნონ ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის, გადაამოწმონ რამდენად შეესაბამება სესხის გაცემა არსებულ კანონმდებლობას. დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში მომხმარებლებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ საქართველოს ეროვნული ბანკის ცხელ ხაზზე – 2 406 406 ან მოგვწერონ შემდეგ მისამართზე: cp@nbg.gov.ge, – ნათქვამია ეროვნული ბანკის განცხადებაში.

# გარემოს დაბინძურებისთვის მოქალაქეები 205.080 ლარით დაჯარიმდნენ

გარემოს დაბინძურებისთვის საჯარიმო სანქციების შემოღებიდან 4 თვის განმავლობაში „თბილსერვის ჯგუფის“ ზედამხედველობის სამსახურის ქვეითმა ინსპექტორებმა 2.019 საჯარიმო ოქმი შეადგინეს, საერთო თანხით – 205.080 ლარი.

უწყების ცნობით, სამართალდამრღვევი პირებიდან 1.098 უცხო ქვეყნის მოქალაქეა. დღეის მდგომარეობით, სხვადასხვა სახის ნარჩენით გარემოს დანაგვიანებისთვის დაჯარიმებულია 1.958 ფიზიკური და 61 იურიდიული პირი.

„თბილსერვის ჯგუფის“ ზედამხედველობის სამსახურის ქვეითი ინსპექტორები დედაქალაქის ქუჩებში 3 აპრილიდან გამოჩნდნენ. პირველი ორი კვირის განმავლობაში მათ გამოჩენას ინფორმაციული სახე ჰქონდა, ხოლო „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად, მათზე დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში, საჯარიმო ოქმების შედგენა 20 აპრილიდან დაიწყეს.



# ვახტანგ მაისაია: „ისლამური სახალიფო ასიმეტრიულ სამხედრო ოპერაციებზე გადავიდა“

გულიკო ბალაძე

## „ბარსელონა შემთხვევით არ შეურჩევიათ“

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** „ახალ თაობასთან“ ევროპაში განხორციელებული ტერაქტების ანალიზს აკეთებს.

***– ბატონო ვახტანგ, ესპანეთის ქალაქ ბარსელონასა და ევროპის სხვა ქალაქებს ტერაქტების საშინელებამ კიდევ ერთხელ გადაუარა. რა ელოდება ევროპას მომავალში, თქვენი ანალიზი როგორია?***

– ბარსელონა შემთხვევით არ არის არჩეული. 2004 წელს ალქაიდამ განახორციელა საშინელი ტერაქტი მადრიდში. მათ ააფეთქეს მატარებელი და 200-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ეს იყო მეორე ტალღა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ. 2004 წლის მადრიდის ტერაქტის შემდეგ დაიწყო ევროპაში ტერაქტების სერია. მხოლოდ ესპანეთში არ მომხდარა ტერაქტი, მოსკოვში, ლონდონში, პარიზში და სხვა ევროპულ ქალაქებში მოწყობილი ტერაქტებიც ამაზე მიუთითებს. როგორც ჩანს, დაიშმა ესპანეთი სპეციალურად აირჩია გასაფრთხილებლად, რომ ტერაქტების ტალღა მოიცავდა ევროპას.

ტერაქტები არის ასიმეტრიული სამხედრო ბრძოლა, ასიმეტრიული ომი, რომელსაც იყენებს ისლამური სახალიფო. ეს არის დაიშისა და ალქაიდას ერთობლივი აქცია. ესპანეთში ძირითადად ალქაიდას წარმომადგენლები მოქმედებდნენ, მაგრამ ახლა ალქაიდამ და დაიშმა ერთობლივი კოორდინირებული ტერაქტების სერია მოაწყვეს.

რამდენიმე ტიპის ტერაქტი განხორციელდა – ესპანეთში ქუჩაში ადამიანების დახოცვა მანქანით, ბომბის აფეთქება საცხოვრებელ სახლში, კაფეში აყვანილი მძევლები. ამას დაემატა ასევე ფინეთში და სხვა ადგილებში მოწყობილი ტერაქტები. ჩანს, ეს იყო კარგად დაგეგმილი კოორდინირებული ქმედება, ასიმეტრიული სამხედრო ოპერაცია, რომელიც მზადდებოდა დიდი ხნის განმავლობაში.

***– რადიკალური მუსლიმანური ქვეყნების წარმომადგენლებმა ომი გამოუცხადეს ქრისტიანულ და არამუსლიმანურ ქვეყნებს?***

– არა. უბრალოდ, საერთაშორისო ჯიჰადისტურმა ორგანიზაციებმა ომი გამოუცხადეს საერთაშორისო კოალიციას, რომელიც ახლა იბრძვის სირიაში, ერაყში და, საერთოდ, ახლო აღმოსავლეთში. ალქაიდა და სხვა ჯიჰადისტური ორგანიზაციები თანხმდებიან ერთობლივ ჯიჰადისტურ ბრძოლაზე. ახლა მათ განახორციელეს დარტყმა ევროპის მიმართულებით. როგორც ჩანს, ამას მოჰყვება სხვა ტერაქტებიც.

***– შეუძლია ევროპას ჯიჰადისტების ასიმეტრიულ სამხედრო ბრძოლას გაუმკლავდეს?***

– შეუძლებელი არაფერია. თუმცა, ამ ეტაპზე ასეთი ასიმეტრიული ტიპის საფრთხეების თავიდან აცილება შეუძლებელია. თან ეს მოხდა იმ ქვეყანაში, სადაც ტერორისტული საფრთხის მე-5, უმაღლესი დონე იყო გამოცხადებული. ესპანეთის სამართალდამცავი ორგანოები მაქსიმალურად მობილიზებულები იყვნენ. ამ ფონზე მოხდა საშინელი დარტყმა ჯიჰადისტების მხრიდან.

***– საქართველოს თუ ემუქრება ამგვარი საფრთხეები?***

– აქამდე ჩვენ რაღაცნაირად ამ კუთხით დაცული ვიყავით, მაგრამ დღეს ყველაფერი ისეა აღრეული და ერთმანეთთან გადანასკული, სამწუხაროდ, ამგვარი ტერაქტებისგან დაზღვეული ვერავინ იქნება.

***– თუ გაქვთ ინფორმაცია აჭარიდან ისლამურ სახალიფოში წასული ჭაღალიძისა და სხვათა შესახებ? ან ვინმე ახალი ხომ არ წასულა კიდევ?***

– როგორც მე ვიცი, ქართველები ერაყის ტერიტორიაზე არიან. ზოგიერთი გადავიდა ავღანეთში. მოკლედ, რამდენიმე ქართული ჯგუფია. მათგან ზოგი ავღანეთშია, ზოგი – სირია-ერაყის ტერიტორიებზე.

***– ტერორისტულ საქმიანობას ეწევიან?***

– ალქაიდასა და დაიშის მასშტაბური ტერორისტული ორგანიზაციების წევრები არიან.

***– თარხან ბათირაშვილი გარდაცვალების შემდეგ მისნაირი ძლიერი ვინმე არის ქართველი ისლამურ სახალიფოში?***

– თარხან ბათირაშვილისნაირი ძლიერები აღარ არიან ქართველებს შორის, თუ არ ჩავთვლით იგივე მუსლიმ მარგოშვილს, რომელიც ალქაიდას დაჯგუფებაშია და, ფაქტობრივად, ისლამურ სახალიფოს ეხმარება. იქ არის კიდევ თარხან ბათირაშვილის ძმა, მაგრამ ის მაინცდამაინც მაღალ პოზიციას არ იკავებს. ქართული სეგმენტი ისლამურ სახალიფოში ჩაანაცვლეს უფრო აქტიური მებრძოლებით, ტაჯიკებით.

***– ანუ ქართველები ტაჯიკებმა ჩაანაცვლეს?***

– დიახ, ახლა ტაჯიკებია დამრტყმელი ძალა ისლამურ სახალიფოში.

***– მგონი, ისლამურ სახალიფოში პირველად ბათირაშვილი წავიდა და მერე გაყვნენ სხვები. ბათირაშვილის ქართული ჯარიდან გაშვებაც შეცდომა იყო. ბათირაშვილისნაირი ძლიერი მებრძოლების ჯარიდან გაშვება არ უნდა ხდებოდეს.***




– რა თქმა უნდა. ბათირაშვილი რეპრესირებული იყო. ბათირაშვილის გაშვება სააკაშვილის კისერზეა.

***– რატომღაც მგონია, სანამ თარხან ბათირაშვილი იყო ცოცხალი, საქართველოს ტერაქტის საფრთხე არ ემუქრებოდა.***

– გეთანხმებით. თანაც მაშინ სხვა მიმართულებები იყო, ისლამურ სახალიფოს არ ჰქონდა ასეთი გლობალური მასშტაბები. მაშინ ისლამური სახალიფო წამოადგენდა სამხედრო გაერთიანებას, რომელიც რეგიონში ატარებდა სამხედრო ოპერაციებს, მათ შორის, სიმეტრიულ სამხედრო ოპერაციებსაც. ისლამური სახალიფო გახლდათ კვაზი სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ამიტომ მათ ინტერესში არ შედიოდა ევროპაში ტერაქტების განხორციელება, გავლენის კონტროლის მოპოვება.

***– ახლა რატომ გავიდნენ ევროპის მიმართულებით?***

– ახლა ისლამურმა სახალიფომ თავისი გავლენის ფარგლებში იწვნია სერიოზული მარცხი, დაკარგეს მოსული, პალმირა და მოქცეული არიან ალყაში. ამიტომ ევროპის ტერიტორიაზე იყენებენ ასიმეტრიულ-სამხედრო ოპერაციებს და ტერაქტებს სამხედრო ოპერაციების კუთხით, რათა განახორციელონ მასშტაბური შეტევა თავის მოწინააღმდეგეზე, როგორც მორალურ-ფსიქოლოგიური, ისე იდეოლოგიური კუთხითაც.





***– თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში მითხარით, რომ ბოლო დროს ისლამური სახალიფოს წარმომადგენლების ყველაზე დიდი კონცენტრაცია ავღანეთში ხდებოდა. ამ მხრივ ახლა რა ვითარებაა?***

– სამწუხაროდ, ამ მხრივ ავღანეთში მძიმე ვითარებაა. ამერიკელები ვეღარაფერს აკეთებენ. ამიტომ ახალი სტრატეგიის შემუშავებას აპირებენ. ტრამპი აპირებს, შეიარაღებული ძალები გამოიყვანოს და მათ ომი გამოუცხადოს. თალიბანიც ძალიან გააქტიურდა. მან გაიჩინა ახალი ფარული მოკავშირეები. სხვათა შორის, თალიბანმა მოკავშირე გაიჩინა რუსეთის სახით, რომელიც მას იარაღსაც აწვდის. თალიბანის ნარკოტიკული კარტელიც უფრო გაძლიერდა. ამდენად, დღეს თალიბანი გადაიქცა საკმაოდ ძლიერ და გავლენიან სამხედრო გაერთიანებად.

***– რუსეთი თალიბანს იარაღს აწვდის, რუსეთი იბრძვის სირიაშიც, მაგრამ, მგონი, უფრო არა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ.***

– რუსეთი იბრძვის ისლამური სახალიფოს წინააღმდეგაც.

***– ისლამური სახალიფოს წარმომადგენლები თალიბანთან ერთადაც ხომ იბრძვიან, თალიბანს კი რუსები იარაღს აწვდიან, რა გამოდის?***

– რუსეთი თალიბანს აწვდის იარაღს, რომ არ მოხდეს თალიბანის ექსპანსია რუსეთში, ჰქონდეს მასთან კარგი ურთიერთობები, თუკი თალიბანი მოვა ხელისუფლების სათავეში.

***– თალიბანს ავღანეთში ხელისუფლებაში მოსვლის შანსი აქვს?***

– თალიბანს საკმაოდ სერიოზული შანსები აქვს ავღანეთის ხელისუფლებაში მოსასვლელად. ფაქტობრივად, შეიძლება თალიბანი გამოყენებულ იქნას ისლამური სახალიფოს წინააღმდეგ ბრძოლის საქმეშიც.

***– შეიძლება თალიბანი ისლამურ სახალიფოს დაუპირისპირდეს?***

– შეიძლება, რადგან ბოლო დროს მათ შორისაც დაიწყო სერიოზული შეტაკებები. მათ შორის არის სერიოზული იდეოლოგიური დაპირისპირებაც. თუმცა, ორივე ჯიჰადისტური ტიპის გლობალური გაერთიანებაა.

# ზალბერის გადადგომა სხვა ცვლილებებსაც გამოიწვევს?

## რა გეგმა ჩაუვარდა ევროკავშირს ზალბერის წასვლით

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ წერდა, რომ თანამდებობიდან გადადგა ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიის საკითხებში, ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარე ჰერბერტ ზალბერი.

გერმანული მედიის ცნობით, ზალბერი ან გერმანიის საგარეო უწყების ცენტრალურ აპარატში დასაქმდება, ან დაინიშნება ელჩად ევროპის რომელიმე სახელმწიფოში.

ზალბერს დღემდე არ განუმარტავს, რატომ მიულოცა არჩევნებში გამარჯვება საქართველოს ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტ ანატოლი ბიბილოვს, თუმცა, მან მაშინვე აღნიშნა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და არაღიარების პოლიტიკას.



რამდენიმე წლის წინ ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო რეჟიმი აცხადებდა, რომ ევროკავშირის იმედი აქვს და მოჰყავდა ციტატები ზალბერის წინამორბედის-ფილიპ ლეფორის გამოსვლებიდან. ლეფორს, რომელიც ლეონიდ თიბილოვს 2014 წელს შეხვდა, ამ საკითხებზე თავის მართლება მოუხდა. მან დაადასტურა ევროკავშირის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა.

ექსპერტების მტკიცებით, სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეცწარმომადგენლის თანამდებობა მაღალი რანგის პოზიციად არ ითვლება, მაგრამ ის დაკავშირებულია გეოპოლიტიკასთან.

2008 წლის შემდეგ კავკასიის მიმართულებაში ლიდერობა ევროკავშირს ეუთომ ჩამოართვა და ამიერკავკასიაში ევროკავშირის სპეცწარმომადგენლის პოსტი საერთოდ გაუქმდა. მისი უფლებამოსილებები ელჩებს გაუნაწილეს. ევროპელ ელჩებს კავკასიაში კონფლიქტების მოსაგვარებლად არაფერი გაუკეთებიათ.

ევროკავშირისა და ეუთოს მეტოქეობის გარდა, გამოიკვეთა შეუთანხმებლობა ევროპარლამენტსა და ევროკომისიას შორის. ეს იწვევდა გაუგებრობებს და ბადებდა უკმაყოფილებას დაინტერესებულ ქვეყნებში. განსაკუთრებით-საქართველოსა და აზერბაიჯანში. ამის გამო 2011 წლის 1 სექტემბერს სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეცწარმომადგენლის თანამდებობა აღადგინეს.

საქართველოში ყველა მოელოდა, რომ ზალბერს ბიბლოვთან შეხვედრა გადაიყოლებდა. ექსპერტები მის წასვლას მთიანი ყარაბაღის თემას უკავშირებენ.

ზალბერს ნათქვამი აქვს, რომ მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოსაგვარებლად გამოსავალი, პირველ რიგში, კონფლიქტის მხარეებმა უნდა მოძებნონ.

ეს იყო ევროკავშირის გეგმა. ბრიუსელი ცდილობდა, განეხორციელებინა რეგიონული თანამშრომლობის გაფართოების პროექტი. ერთი მხრივ, ყარაბაღის საკითხზე მუშაობას გააგრძელებდა ეუთოს მინსკის ჯგუფი, მეორე მხრივ, ერთმანეთთან კონტაქტზე გავიდოდნენ დაპირისპირებული მხარეები.

ზალბერის გადადგომამ ევროკავშირის ეს გეგმა ჰაერში გამოკიდა.

უცნობია, ვინ წარმოადგენს ევროკავშირს ჟენევის მოლაპარაკებების მორიგ რაუნდზე ოქტომბერში. მისი შემცვლელის დანიშვნა შეიძლება ძალიან გაჭიანურდეს.

მანამდე, ახლო აღმოსავლეთშა და სხვა რეგიონებში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, დასავლელი ანალიტიკოსები სამხრეთ კავკასიაში რადიკალურ ცვლილებებს და უსაფრთხოების მექნიზმების შეცვლას არ გამორიცხავენ.

# ბიზნესმენი თუ „ბულგარელი განგსტერი“?! — რა იცოდა ფინანსთა სამინისტრომ ლატარიის ახალი კომპანიის ერთ-ერთი მფლობელის შესახებ

1-ელი სექტემბრიდან საქართველოში ლატარიას შპს „ჯი ენ ელ“ ჩაატარებს, რომლის 25%-ს ბულგარეთში რეგისტრირებული New Games ფლობს. კომპანიის ერთ-ერთი დირექტორი და მფლობელი ცნობილი ბულგარელი ბიზნესმენი ვასილ ბოჟკოვია. როგორც სააგენტო on.ge წერს, ბულგარეთში აშშ-ის ელჩის ერთ-ერთ ანგარიშში, რომელიც „ვიკილიქსით“ გავრცელდა, ბოჟკოვი განგსტერად და ფულის გამთეთრებლადაა მოხსენიებული.



„კომერსანტი“ დაინტერესდა, იცოდა თუ არა ამის შესახებ ფინანსთა სამინისტრომ და თუ არ იცოდა, რატომ არ გადაამოწმა ტენდერში მონაწილე კომპანიების შესახებ ინფორმაცია. დიმიტრი ქუმსიშვილის უწყებაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გააკეთეს, სამინისტროში „კომერსანტს“ მხოლოდ ის განუცხადეს, რომ „ტენდერი საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის გამოსავლენად საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით ჩატარდა“.

რატომ მიეცა სკანდალში გახვეულ კომპანიას საქართველოში ლატარიის ჩატარების უფლება და ხომ არ დაინტერესდება აღნიშნული საკითხით პარლამენტი, ამის გარკვევას „კომერსანტი“ დეპუტატებთან შეეცადა. 2 დღის განმავლობაში ჩვენს ზარებს „ქართული ოცნების“ დეპუტატების უმრავლესობამ არ უპასუხა. ნაწილმა კი, ვინც ჩვენს ზარებს უპასუხა, კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა და ამის მიზეზად „საკითხის არცოდნა“ დაასახელა.

როგორც ცნობილია, საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის გამოსავლენად ტენდერი ფინანსთა სამინისტრომ ჩაატარა. ტენდერში მონაწილეობა მხოლოდ ერთმა კომპანიამ მიიღო და გამარჯვებულიც ის გახდა. შესაბამისად, 1-ელი სექტემბრიდან საქართველოში ლატარიას შპს „ჯი ენ ელ“ ჩაატარებს.

კომპანია „ჯი ენ ელ“-ი გასული წლის 25 იანვარს დარეგისტრირდა. საჯარო რეესტრის მონაცემებით, რეგისტრაციის მომენტში კომპანიის 100%-იან წილს მისი მოქმედი დირექტორი ლევან ხუნდაძე ფლობდა. გასული წლის დეკემბრის მონაცემებით, კომპანიის მფლობელები უკვე ბულგარეთში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება NewGames და შპს „ვინ“ არიან, რომლებიც იმ დროისათვის 50-50%-იან წილებს ფლობდნენ. რეესტრის 2017 წლის 20 ივლისის მონაცემებით კი, NewGames-ი კომპანიის 25%-იანი წილის, ხოლო „ვინ“ 75%-იანი წილის მფლობელები არიან.

კომპანია „ვინ“-ს, რეესტრში ის 2016 წლის 30 ნოემბერს დარეგისტრირდა და მისი 100%-იანი წილის მფლობელი რუსეთის მოქალაქე კობა ღურწკაიაა. რეესტრის მონაცემებით, ღურწკაია შპს „სი ბი ეს ჯგუფის“ გენერალური დირექტორია, რომლის 50-50%-იან წილებს ბიზნესმენები — ხვიჩა მაქაცარია და თეიმურაზ არონია ფლობენ. სამივე მათგანი ინტერნეტპროვაიდერი კომპანიის „კავკასუს ონლაინის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან.

რაც შეეხება New Games-ს, როგორც on.ge წერს, ის ბულგარეთის ლატარიის ეროვნული კომპანიაა. მისი ერთ-ერთი მფლობელი კი სკანდალური პიროვნება ვასილ ბოჟკოვია. როგორც ონ.გე წერს, ვიკილიქსის საშუალებით გავრცელდა 2005 წლით დათარიღებული დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია ბულგარეთის ორგანიზებული დანაშაულის ფიგურების შესახებ და რომელიც ბულგარეთში აშშ-ის ელჩმა, ჯეიმს პარდიუმ შეიმუშავა. აღნიშნულ დოკუმენტში წერია, რომ 2004 წლის ბოლოს ბულგარეთში 118 ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფი ოპერირებდა და მათ შორის, ერთ-ერთი ფიგურა ვასილ ბოჟკოვი იყო. ანგარიშის მიხედვით, მისი არალეგალური აქტივობები ფულის გათეთრებას, პრივატიზაციასთან დაკავშირებულ თაღლითობას, დაშინებას, გამოძალვასა და რეკეტირებას უკავშირდება.

დოკუმენტის თანახმად, ბოჟკოვი დაკავშირებული იყო კომპანია Intergroup-თან, რომელსაც ნარკოტიკებთან, ფინანურ თაღლითობასთან, მოპარული მანქანებით ვაჭრობასთან, კონტრაბანდასთან, გამოძალვასა და პროსტიტუციასთან აქვს კავშირი. ვასილ ბოჟკოვი და Intergroup, თავის მხრივ, დაკავშირებული არიან ივან ტოდოროვთან, რომელიც დოკუმენტებში მოხსენიებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნარკორეალიზატორი ბალკანეთში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს გარდა, New Games ბულგარეთშიც უზრუნველყოფს ეროვნული ლატარიის ჩატარებას. ერთ-ერთი სკანდალი, რომელიც საერთაშორისო მედიაშიც მოხვდა, სწორედ ამ გათამაშებას უკავშირდება. 2009 წელს ლატარიაში ზედიზედ ორჯერ ამოვიდა ერთი და იგივე ციფრები. ლატარიის კომპანიამ აღნიშნულს გიჟური დამთხვევა უწოდა და იმ ფაქტზე მიუთითა, რომ რიცხვების ამოსვლის რიგითობა განსხვავდებოდა.

BBC-ის ცნობით, მაშინ ბულგარეთის ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მანიპულაცია შეუძლებელი იყო. მათემატიკოსები კი ამბობდნენ, რომ ზედიზედ ორჯერ ზუსტად იმავე ციფრების ამოსვლის ალბათობა ოთხ მილიონში ერთი იყო, თუმცა დამთხვევებიც ხდება.

ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის გაშუქების პროექტის (OCCRP) ცნობით, ვასილ ბოჟკოვმა (მეტსახელად თავის ქალა – The Skull) თავისი პირველი კომპანია 1990 წელს დააარსა. ორ პარტნიორთან, ილია პავლოვთან და მლადენთან ერთად დაფუძნებული IGM აზარტული თამაშების ჯგუფი ძალიან წარმატებული, შემოსავლიანი და გავლენიანი გახდა აღმოსავლეთ ევროპაში. 2008 წლის მონაცემებით, ბოჟკოვის იმპერია Noveholdings 30 კომპანიას აერთიანებდა. მის ჰოლდინგში შედის ისეთი კაზინოები, როგორიცაა London Casino სოფიაში მდებარე სასტუმრო რედისონში და RilaCasino, ასევე სოფიაში მდებარე სასტუმრო რილაში. ვასილ ბოჟკოვი დაახლოებით 1,5 მილიარდი დოლარის ქონებას ფლობს და ბულგარეთსა და ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანის ტიტულს ატარებს.

2004 წელს, ბოჟკოვთან პარტნიორობის გაწყვეტისა და მასთან კონკურენციის შემდეგ, ილია პავლოვი მოკლეს. ვასილ ბოჟკოვი ეჭვმიტანილად არასდროს დასახელებულა და კონკურენტის გაქრობის შემდეგ მისი ბიზნესიც აყვავდა. ბოჟკოვი სარგებელს ძლიერი პოლიტიკური კავშირებითაც იღებდა.

ბულგარული დამოუკიდებელი მედიის 2011 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში წერია, რომ ვასილ ბოჟკოვი ნელ-ნელა სცილდება კრიმინალს, თუმცა ბიზნესმენი მოხსენიებულია, როგორც ორგანიზებული დანაშაულის ფიგურა OCCRP-ის 2015 წლის პუბლიკაციაშიც. მისი ჰოლდინგის ლეგალური ბიზნესინტერესები ძირითადად აზარტულ თამაშებს და Duty Free მაღაზიებს უკავშირდება. 2005 წლის ვიკილიქსის დოკუმენტების თანახმად, ბოჟკოვი, ასევე, ფლობს ბულგარულ საფეხბურთო კლუბს და სამოდელო სააგენტოს, — წერს on.ge.

ბიზნეს-სამართლის ექსპერტი აკაკი ჩარგეიშვილის განცხადებით, ლატარიის კომპანიის შესახებ თავიდანვე ბევრი კითხვა არსებობდა და ახლაც, როდესაც გამარჯვებული კომპანიის ერთ-ერთი მეწილე განგსტერად არის მოხსენიებული, ბევრ კითხვის ნიშანს გააჩენს.

— თუ ეს ადამიანი არის ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილე, აუცილებელია, რომ კომპანიის საქართველოში საქმიანობის მიმდინარეობისას ჩატარდეს მონიტორინგი და ნებისმიერო დარღვევის შემთხვევაში გადაეცეს საქმე შესაბამის ორგანოებს.

თავად ის ფაქტი, რომ ხელისუფლება ლატარიის ჩამტარებელ კომპანიას, ანუ ინვესტორს დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა, კითხვებს აჩენს. სატენდერო პირობებიც, როგორც ვიცი, სრულყოფილი არ არის. ამიტომაც აუცილებელია, რომ კითხვებსაც გაეცეს პასუხი, — განუცხადა „კომერსანტს“ ჩარგეიშვილმა.

# რატომ არის საქართველო ბანკის ვალების სიჭარბით მსოფლიოში მეორე ადგილზე?

ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აუცილებლობის დაკმაყოფილება — ეს არის ის მთავარი მიზეზი, რის გამოც საქართველოს მოქალქეების უმრავლესობა კომერციულ ბანკებს სესხის ასაღებად მიმართავს. ეს „აფბას“ კვლევებიდანაც ჩანს, სადაც გამოკითხულთა 70%, ვისაც ბანკში სესხი აქვს, აცხადებს, რომ სესხი ყოველდღიური ხარჯების დასაფარად აიღო.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშის მიხედვით კი, ქვეყანა კომერციული ბანკის მქონე მოსახლეობის სიჭარბით მსოფლიოში მეორე ადგილზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი 1000 ადამიანიდან 676-ს ბანკის ვალი აქვს. ანგარიშიდან ისიც ირკვევა, რომ ყოველი მესამე სესხის ამღები ფიზიკური პირი თავისი შემოსავლის ნახევარზე მეტს ბანკის ვალის მომსახურებაში იხდის.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის და ევრორეგულაციების მიხედვით, შემოსავლების დადასტურების გარეშე სესხის გაცემა მკაცრ სანქციებს ექვემდებარება და სესხის დაფარვის გრაფიკი მოქალაქის შემოსავლის ადეკვატური უნდა იყოს.

„კომერსანტთან“ საუბრისას ფინანსისტები აღნიშნავენ, რომ ჭარბვალიანობა პრობლემას ნაკლებად წარმოადგენს. პრობლემა ისაა, რომ ადამიანები სესხს არა ინვესტიციისთვის, განათლების დასაფინანსებლად ან ქონების შესაძენად იღებენ, არამედ პირველადი საყოფაცხოვრებო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეკონომიკური ანალიტიკოსი მერაბ ჯანიაშვილი აღნიშნავს, ის ფაქტი, რომ სესხების უმრავლესობა მცირე მოცულობის არის, ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში სოციალური ფონი მძიმეა.




— ეს მაჩვენებელი კონკრეტულად იმას არ ნიშნავს, რომ ცუდია. მთავარი ის არის, ადამიანები ამ სესხს რამდენად კარგად ემსახურებიან. თანაც, აქ საუბარი არ არის ბიზნესსესხებზე, არამედ საუბარია მოკლევადიან, სწრაფ სესხებზე, რომელიც ყოველდღიური ხარჯების დასაფარად სჭირდებათ, ანუ ამ თანხების სამომავლო ინვესტირება არ ხდება. თან თუ განვითარებულ ქვეყნებს შევედრებით, ჩვენთან მოსახლეობის დიდ რაოდენობას აქვს სესხი აღებული, მაგრამ მცირე მოცულობების. ეს ფაქტი კი იმაზე მიანიშნებს, რომ ქვეყანაში სოციალური ფონი მძიმეა. განვითარებულ ქვეყნებში ძირითადად დიდი მოცულობის სესხები გაიცემა, — განაცხადა ჯანიაშვილმა.

კითხვაზე, რა უნდა გაკეთდეს სახელმწიფოს ან თუნდაც ეროვნული ბანკის მხრიდან, რომ პრობლემა აღმოიფხვრას, ჯანიაშვილი პასუხობს, რომ მთავრობამ ეკონომიკური მდგომარეობა უნდა გამოასწოროს, ეროვნულმა ბანკმა კი მოსახლეობის ინფორმირებულობა მოახდინოს, რატომ უნდა აიღონ სესხი და როგორ დაფარონ ის.

— ეკონომიკური მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს, რომ ამ ჭარბვალიანობიდან ამოვიდეთ. სოციალური ფონი თუ შეიცვლება, ადამიანებს ექნებათ დანაზოგი, რითაც ყოველდღიურ პროდუქტს იყიდიან და ამის გამო სესხის აღება აღარ მოუწევთ. გარდა ამისა, მოსახლეობამ ბანკებთან ურთიერთობა ბოლო ათი წელია, რაც დაიწყო. საზოგადოებას კარგად არ აქვს გააზრებული, სესხი რა არის. ზოგჯერ სესხს ისე იღებენ, რომ არ იციან, როგორ დაფარავენ. ფინანსური განათლების დონის აწევა კი ეროვნულმა ბანკმა უნდა მოახდინოს, — აღნიშნა ჯანიაშვილმა.

მისივე თქმით, სესხების გაცემის შეზღუდვა გამოსავალი არ არის და ეს პრობლემას ვერ მოაგვარებს: „სესხების გაცემა რომ შეიზღუდოს, ამან შეიძლება ცალკე პრობლემა გამოიწვიოს იმიტომ, რომ მოსახლეობას არ ექნება ის ერთადერთი საშუალება, რომ სესხი ნორმალური საკრედიტო ინსტიტუტისგან აიღოს და არა კერძო მევახშისგან. ასეთ შეზღუდვას არ მივესალმები“.

ადამიანები ყოველდღიური საჭიროებებისთვის და ხშირ შემთხვევაში გაუაზრებლად რომ იღებენ სესხს, ამ აზრს ფინანსისტი ირაკლი ბერძენაძეც იზიარებს. მისი თქმით, ჭარბვალიანობა ხელისუფლების ბრალი არაა, თუმცა მისი ბრალეულობა იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანაში სოციალური ფონი მძიმეა.

— ჩვენთან დიდი და მთავარი პრობლემა არა სესხების სიმრავლე, არამედ ის არის, ეს საბანკო ვალდებულებები რამდენად ლოგიკურია. ეს ბანკების ბრალი კი არა, მოსახლეობის ბრალია. არ შეიძლება, რომ ქეიფისთვის და დროსტარებისთვის აიღო სესხი. მას უნდა ჰქონდეს კონკრეტული მიმართულება, როგორიცაა განათლების დაფინანსება, ბინის, მანქანის შეძენა. მაგრამ, როდესაც სესხს ყოველდღიური საჭიროებებისთვის იღებს, ის უკვე ეჩვევა და მომავალში ყველაფრისთვის ბანკის სესხს მიმართავს. მთავრობას ამას ვერ დავაბრალებთ. იმას კი დავაბრალებთ, რომ ქვეყანაში ისეთი ეკონომიკურ-სოციალური ფონია, რაც აიძულებს ადამიანებს, რომ ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვისაც კი სესხი აიღონ, — განაცხადა ბერძენაძემ.

მისივე თქმით, ადამიანებს სესხის აღებას თუ აუკრძალავ, წავლენ და კერძო მევახშისგან მაინც აიღებენ: „ხელისუფლების მხრიდან ამ მხრივ რაც უნდა გაკეთდეს, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაა, რომ ადამიანებმა ამ რაოდენობის სესხი არ აიღონ. ხელისუფლება ამ შემთხვევაში მეტს ვერაფერს გააკეთებს, ადამიანებს ვერ ეტყვის, სესხი არ აიღოთო, რადგან თუ ბანკში ვერ აიღეს, წავლენ და კერძო პირისგან აიღებენ.“

ბერძენაძის თქმით, ამ პროცესში ეროვნული ბანკი საერთოდ არ უნდა ჩაერიოს და ერთადერთი ჩარევა მისი მხრიდან ის უნდა იყოს, რომ დასავლური პრაქტიკა დანერგოს, რაც ე.წ. მრჩევლის ინსტიტუტის შემოღებას გულისხმობს.

— სესხების ასეთმა სიმრავლემ საბოლოოდ ცუდი შედეგი შეიძლება მოუტანოს ქვეყანას. ბანკის ვალს არავინ გაპატიებს. შესაბამისად, მოსახლეობა ამით ღარიბდება, ბანკები მდიდრდებიან. ეროვნულმა ბანკმა მოსახლეობის განათლება უნდა აამაღლოს. იყვნენ ე.წ. მრჩევლები, რაც დასავლურ პრაქტიკაში გამოიყენება და ჩვენთანაც უნდა დაინერგოს. ჩემი აზრით, ეროვნული ბანკი კერძო სექტორის მუშაობაში საერთოდ არ უნდა ჩაერიოს, — აღნიშნა ბერძენაძემ.

ამასთან, მისი თქმით, ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთები მაღალია, თუმცა მისი დაწევა ვერ მოხდება მაშინ, როცა საბანკო სფეროში კონკურენცია არ არის:

— მართალია, საპროცენტო განაკვეთები ევროპასთან შედარებით, ჩვენთან ბევრად მაღალია, მაგრამ ეს კონკურენციამ უნდა დაარეგულიროს, რაც ამ ეტაპზე არ გვაქვს. ქვეყანაში მხოლოდ ორი ყველაზე დიდი გამსესხებელი ბანკი გვყავს. კონკურენცია რომ არ არის, შესაბამისად, ბანკებს სესხებზე თანაბარი პროცენტები აქვთ. რაც შეეხება რაიმე სახის აკრძალვას, თუ ლიბერალური ეკონომიკის აშენება გვინდა, კომერციულ ბანკს პროცენტის ზღვარს ვერ დავუდგენთ.

# სააკაშვილის ადვოკატი: „რუსი პრანკერების მიერ გავრცელებული ჩანაწერით საერთაშორისო სკანდალთანაც გვაქვს საქმე“

– რუსი პრანკერების მიერ გავრცელებული ჩანაწერით საერთაშორისო სკანდალთანაც გვაქვს საქმე, – ამის შესახებ ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა ბექა ბასილაიამ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, ჩანაწერის ავთენტურობის დადგენა არა მხოლოდ შიდასამართლებრივი პროცედურების, არამედ საერთაშორისო კუთხითაც მნიშვნელოვანია.

– ამ ჩანაწერში გარდა იმისა, რომ მკაფიოდ იკვეთება მიხეილ სააკაშვილის მიმართ მიმდინარე უკანონო ქმედებები და ფაქტიურად ლუსტრაცია ხდება მის მიმართ წარმოებული პოლიტიკური დევნის, ამავდროულად, საერთაშორისო სკანდალთან გვაქვს საქმე, როდესაც მინისტრი საუბრობს პოლონეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლის თვალთვალზე და ა.შ. შესაბამისად, ამ ჩანაწერის ავთენტურობის დადგენა მნიშვნელოვანია, როგორც შიდასამართლებრივი პროცედურებისთვის და ამ ხელისუფლების კიდევ ერთხელ სამხილებლად, ასევე მნიშვნელოვანი საერთაშორისო თვალსაზრისითაც, – განაცხადა ბასილაიამ.

სააკაშვილის ადვოკატის თქმით, გარკვეული დროა საჭირო საერთაშორისო საექსპერტო ბიუროში შესაბამისი ექსპერტიზების ჩასატარებლად. ამასთან, ადვოკატისთვის გაუგებარია, რატომ დუმს ამ საკითხზე სახალხო დამცველი და არ აქტიურობს სათანადოდ არასამთავრობო სექტორი.

– გაუგებარია სახალხო დამცველის დუმილი და არასამთავრობო სექტორის აქტივობა დიდი არ არის, ვინაიდან შს მინისტრის ეს ჩანაწერი პირდაპირ მეტყველებს, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები უმძიმეს მდგომარეობაშია. ფაქტობრივად სახეზე გვაქვს ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა, –



აღნიშნა ბექა ბასილაიამ.

ყოფილი პრეზიდენტის ადვოკატმა, ერთ-ერთ უკრაინულ პორტალზე, რუსი პრანკერების მიერ გავრცელებულ ჩანაწერზე, პროკურატურაში გამოძიების მოთხოვნა ერთი კვირის წინ შეიტანა. ბექა ბასილაიას თქმით, აღნიშნული ჩანაწერიდან გამომდინარე გამოძიება უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, დევნისა და ადევნების მუხლებით უნდა დაიწყოს.

Страна.ua-მ გაავრცელა აუდიოჩანაწერი, რომელშიც, ცნობილი რუსი პრანკერი ლექსუსი თითქოსდა საქართველოს შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილს, უკრაინის შს მინისტრ არსენ ავაკოვის სახელით, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ექსტრადიციის საკითხზე ესაუბრება. გიორგი მღებრიშვილი ექსპრეზიდენტს უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებს და უკრაინულ მხარეს სთხოვს, არ გადმოსცენ ის საქართველოს. ამასთან, ის ამბობს, რომ ეს პოზიცია პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან შეთანხმებულია. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარყო, რომ მსგავსი საუბარი შედგა.

## შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო



შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1972 წელს დაბადებული კ.ც. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 123 აბი და 5 ნატეხი „სუბოქსინი“, ასევე 1 შეკვრად დაფასოებული ჰეროინის შემცველი, კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკი ამოიღეს.

მათი ცნობით, ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

## ეკა ბესელია: „ადვოკატთა ასოციაციის ინიციატივით, ადვოკატთა საქმიანობა მოწესრიგდება“



– გვინდა გავაძლიეროთ ადვოკატთა ინსტიტუტი, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვანი გარანტი, – ამის შესახებ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე კომიტეტისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შეხვედრის კომენტირებისას განაცხადა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პარლამენტიდან აცნობეს, ბესელიამ აღნიშნა, რომ ადვოკატთა ასოციაციის ინიციატივით კანონში ახალი მუხლები შევა, რომელიც ადვოკატთა საქმიანობის უკეთ მოაწესრიგებს.

– ამ ცვლილებებით ჩვენ ვცდილობთ, კანონში ახალი მუხლები შევიტანოთ, რომელიც ადვოკატთა ასოციაციის ინიციატივით არის მოწოდებული და ის ეხება პროფესიაში შესვლას, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების ვადებს, პროცედურებს. ანუ არის საკითხები, რომელიც ადვოკატთა საქმიანობის უკეთეს მოწესრიგებას უკავშირდება. ეს იქნება ძალიან კარგი ცვლილებები, რომლითაც ჩვენ გვინდა, მხარი დავუჭიროთ ადვოკატთა პროფესიულ და ინსტიტუციურ გაძლიერებას, – აღნიშნა ეკა ბესელიამ.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის გასვლითი შეხვედრა, რომელიც ქობულეთში მიმდინარეობს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფინანსური მხარდაჭერით იმართება. შეხვედრის მონაწილეები დღეს მსჯელობენ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პრინციპებზე, ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდასა და ასოციაციაში გაწევრიანებაზე, საადვოკატო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე, ეთიკის კომისიასა და დისციპლინური დევნის განხორციელებაზე, ასევე დისციპლინური სახდელის გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის წესზე.

ღონისძიებაში იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია და თავმჯდომარის მოადგილეები ვანო ზარდიაშვილი და დავით მათიკაშვილი, კომიტეტის წევრები გიორგი ხატიძე, გურამ მაჭარაშვილი და აპარატის თანამშრომლები, ასევე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლები და საქართველოში კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამის (PROLoG) წარმომადგენლები მონაწილეობენ.

## ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავეს




საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ჯგუფურად, ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მათ მფლობელობაში არსებული საწარმოს მეშვეობით, 20 000 ლარის სანაცვლოდ, 196 690 ლარის ღირებულების მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყალბი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოწერეს. გაყალბებული დოკუმენტის მიხედვით, ჩასათვლელმა დამატებული ღირებულების გადასახადმა 30 003 ლარი შეადგინა.

საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, საქმეზე გრძელდება გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით.

## სენაკში, სამხედრო ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე ქურდობის მცდელობის ფაქტი გახსნეს



სენაკში დისლოცირებული სამხედრო ნაწილის საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სს „საქართველოს ბანკის“ ბანკომატის ქურდობის მცდელობის ფაქტი გახსნილია. შემთხვევა 2017 წლის 24 მაისს მოხდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტისა და საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, აღნიშნულ დანაშაულში მონაწილე ერთ-ერთი პირი მ.წ. დაკავებულია, ხოლო კიდევ ერთ თანამზრახველზე თ.შ-ზე გამოცხადებულია ძებნა.

– მ.წ.-ს და თ.შ.-ს (დაუსწრებლად) ჩადენილი დანაშაულისათვის წარედგინათ ბრალდება, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ორივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. ამჟამად ტარდება აქტიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მიმალვაში მყოფი ბრალდებულის ადგილსამყოფელის დადგენა-დაკავების და დანაშაულში მხილებული სხვა პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, – განმარტავენ თავდაცვის სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, აღნიშნული დანაშაულისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 8 წლამდე ვადით.

## ავტოსაგზაო შემთხვევა თბილისში — დაშავებულია სამი ადამიანი



თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ბარათაშვილის ხიდთან ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა. შემთხვევის შედეგად სამი ადამიანი დაშავდა.

ერთ-ერთი დაშავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა შედარებით მძიმეა. სამედიცინო პერსონალის განცხადებით, დაშავებულის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მომხდარზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

## რუსეთმა და ოკუპირებულმა აფხაზეთმა აფხაზური მხარისთვის სამხედრო ქონების გადაცემის თაობაზე „ხელშეკრულება“ გააფორმეს



რუსეთმა და ოკუპირებულმა აფხაზეთმა ხელი მოაწერეს „ხელშეკრულებას“ აფხაზური მხარისთვის სამხედრო ქონების გადაცემის თაობაზე.

როგორც რუსეთის თავდაცვის უწყებაში აღნიშნეს, „აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების“ ფარგლებში.

დოკუმენტს ხელი მოეწერა რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ფომინისა და ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო გენერალური შტაბის ხელმძღვანელის ანატოლი ხრულიოვის შეხვედრისას.

– ხელი მოეწერა საკონტრაქტო დოკუმენტებს აფხაზური მხარისთვის სამხედრო ქონების გადაცემის თაობაზე. აღნიშნული სამუშაო რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის“ ხელშეკრულების ფარგლებში ხორციელდება. აღნიშნული ითვალისწინებს აფხაზეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზებას, – ნათქვამია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს რუსეთ-აფხაზეთის სამხედრო თანამშრომლობის პერსპექტივები.

## „სადახლოზე“ არადეკლარირებული საქონელი აღმოაჩინეს



ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო-საავტომობილო“, ეჭვის საფუძველზე სომხეთის მოქალაქის, ა.ჰ-ს ფიზიკური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული საქონელი – პალადიუმი, სხმულის სახით (საერთო წონა 65.83) აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, საქონლის საბაჟო ღირებულებამ 5,171.24 ლარი შეადგინა.

მათი ცნობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, მოქალაქეს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა 5,171.24 ლარის ოდენობით შეეფარდა.

## მებაჟეებმა არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს



საბაჟო გამშვებ პუნქტებში „ყაზბეგი“ და „ლაგოდეხი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ჯამში 239.27 გრამი ოქროს არადეკლარირებული ნაკეთობები აღმოაჩინეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, სგპ ლაგოდეხში 63.09 გრამი არადეკლარირებული საქონელი რუსეთის ფედერაციის მოქალაქის, მ.ჩ-ს ბარგის დათვალიერებისას გამოვლინდა. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 4,840.24 ლარი შეადგინა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ პირს სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, 4,840.24 ლარის ოდენობით შეეფარდა.

მებაჟეებმა არადეკლარირებული საქონელი, 176.18 გრამი ოქროს ნივთები, სგპ „ყაზბეგში“, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის, დ.ი-ს ხელბარგში აღმოაჩინეს. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 10,042.18 ლარი შეადგინა. შესაბამისად, მოქალაქეს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, სანქციის სახით, შეეფარდა ფულადი ჯარიმა 10,042.18 ლარის ოდენობით.

## ტრამპის უახლოესი თანამოაზრე გადადგა



გადადგომის შესახებ გამოაცხადა ტრამპის უახლოესმა თანამებრძოლმა სტივ ბენონმა. მას პრეზიდენტის უფროსი მრჩევლის თანამდებობა ეკავა.

ბენონის მიმართ ამერიკულ პოლიტიკურ ელიტაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება იყო. ბევრი მას რასისტად მიიჩნევდა. ამას გარდა, ბენონი სკეპტიკურად ეკიდებოდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა საქართველოს ან უკრაინის დახმარება და უფრო რუსეთთან შეთანხმებისკენ იხრებოდა.

## სამხედრო ხომალდი „ჯონ მაკეინი“ მალაკის სრუტეში სავაჭრო გემს შეეჯახა



ამერიკული სამხედრო ხომალდი „ჯონ მაკკეინი“ მალაკის სრუტეში სავაჭრო გემს შეეჯახა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას აშშ-ის მეშვიდე ფლოტის სარდლობა ავრცელებს.

ხომალდი სინგაპურის პორტში მიემართებოდა. წინასწარი ინფორმაციით, ხომალდმა დაზიანება მიიღო კიჩოს ნაწილში.

10 მეზღვაური დაკარგულად ითვლება, კიდევ 5 კი დაშავებულია. მიმდინარეობს მეზღვაურების ძებნის ოპერაცია.

აღნიშნულ შემთხვევას აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გამოეხმაურა.

– ჩემი ლოცვით, ჩვენს მეზღვაურებთან ერთად ვარ, – დაწერა „ტვიტერის“ გვერდზე აშშ-ის პრეზიდენტმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## ისლანდიის საერთაშორისო აეროპორტში თავდამსხმელი ავტომობილით შეიჭრა




ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკთან 50 კილომეტრში, საერთაშორისო აეროპორტ კაბლავიკის მოსაცდელ დარბაზში ავტომობილი შეიჭრა.

თავდამსხმელი მამაკაცი 20 წლისაა. პოლიციის ცნობით, მანამდე მის მიმართ დევნის ოპერაცია ხორციელდებოდა.

თავდამსხმელმა ჯერ პოლიციელებს გაუწია წინააღმდეგობა, შემდეგ გაიქცა, ერთ-ერთი მანქანის მინა ჩაამტვრია, მძღოლი აიძულა მანქანა დაეტოვებინა, ხოლო თავად ამ ავტომობილით აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში ხალხის მასაში შეიჭრა.

## ბარსელონის ტერაქტი იუნეს აბუიაყუბიმ შეასრულა

### ბარსელონის რაბინი ებრაელებს ევროპის დატოვებისკენ მოუწოდებს



ესპანეთის შს სამინისტროს წარმომადგენელმა ხოაკიმ ფორნმა დაადასტურა, რომ ბარსელონაში განხორციელებული ტერაქტის უშუალო შემსრულებელი და ფურგონის მძღოლი იუნეს აბუიაყუბია.

მისივე თქმით, ესპანელი სამართალდამცველები არ ფლობენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ეჭვმიტანილი კატალონიის ტერიტორიის გარეთ იმყოფება, თუმცა ევროპელ კოლეგებთან კოორდინაციაში არიან, ვინაიდან აღნიშნული პირის ძებნა ევროპის მასშტაბით მიმდინარეობს.

მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეჭვმიტანილი პოლიციამ ბარსელონაში დააკავა.

ამასობაში ბარსელონის მთავარმა რაბინმა მეირ ბარ-ჰენმა ესპანეთს „ისლამური ტერორიზმის ცენტრი“ უწოდა და ებრაელებს ევროპის დატოვებისკენ მოუწოდა.

– მე ჩემს მრევლს სულ ვეუბნები: არ იფიქროთ, რომ აქ სამუდამოდ ვართ. მე ვურჩევ მათ, შეიძინონ უძრავი ქონება ისრაელში. არ გაიმეოროთ ალჟირელი და ვენესუელელი ებრაელების შეცდომები. ევროპა დამარცხებულია! – განაცხადა რაბინმა.

17 აგვისტოს, ბარსელონაში, რამბლას მოედანზე ფეხით მოსიარულეთა გზის სავალ ნაწილზე ავტომობილი შევარდა. მომხდარის შედეგად 14 ადამიანი დაიღუპა და 130-მდე დაშავდა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

## აშშ-მ რუსეთის ტერიტორიაზე ამერიკის ვიზის გაცემა შეაჩერა




2017 წლის 23 აგვისტოდან რუსეთის ტერიტორიაზე ამერიკის არაიმიგრაციული ვიზების გაცემა შეჩერდება. აღნიშნულის შესახებ რუსეთში აშშ-ის საელჩოს განცხადებაშია ნათქვამი.

– რუსეთის გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციაში აშშ-ის დიპლომატიური მისიის რაოდენობის შემცირების თაობაზე კითხვის ქვეშ აყენებს რუსეთის მისწრაფების სერიოზულობას ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესებისკენ. ჩვენ დიპლომატიური მისიის რაოდენობას იმ დონეზე შევინარჩუნებთ, რაც საშუალებას მოგვცემს ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლობების ძირითადი ფუნქციები შევასრულოთ, – ნათქვამია განცხადებაში.

როგორც აშშ-ის საელჩოში აღნიშნეს, აღნიშნულთან დაკავშირებით 23 აგვისტოდან რუსეთის ტერიტორიაზე ამერიკული არაიმიგრაციული ვიზების გაცემა შეჩერდება. 2017 წლის 1-ელი სექტემბრიდან ვიზების გაცემა მოსკოვში განახლდება, ხოლო რუსეთის ტერიტორიაზე მდებარე აშშ-ის საკონსულოებში ვიზების გაცემის პროცედურა განუსაზღვრელი დროით შეჩერდება.

ინტერპრესნიუსი

## კალეიდოსკოპი

## ჰენრი ფორდისთვის შექმნილი მამული 175 მილიონად იყიდება



მამული, რომელიც ცნობილი ამერიკელი მეწარმის ჰენრი ფორდისთვის შეიქმნა, სარეკორდო ფასად, 175 მილიონ დოლარად იყიდება. ამ ინფორმაციას ფორბსი ავრცელებს.

ეს ნიუ იორკის ოფიციალურ ბაზარზე ყველაზე ძვირადღირებული წინადადებაა (მეხუთე აშშ-ში).

თუ ობიექტი სწორედ იმ ფასად გაიყიდება, რომელსაც მასში ითხოვენ, მაშინ ის ეროვნულ რეკორდს მოხსნის, რომელიც 2014 წლის მაისში დამყარდა (147 მილიონი დოლარი).

მამულში მდებარე მთავარი სახლის ფართობი თითქმის 2 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს. მასში განთავსებულია 12 საძინებელი და ამდენივე სააბაზანო ოთახი, ასევე აქვს ავტოფარეხი და სხვა ობიექტები.

## ბრიჟიტ მაკრონმა მეუღლესთან ასაკობრივ სხვაობაზე ისაუბრა



ბრიჟიტ მაკრონი გამოცემა ელეს თავის მეუღლესთან, საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან ასაკობრივ სხვაობაზე ესაუბრა.

როგორც ქვეყნის პირველმა ლედიმ განაცხადა, ცხოვრებაში დგება დრო, როდესაც მნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთებაა აუცილებელი. მისი თქმით, საყვარელი მამაკაცის გვერდით ყოფნის გადაწყვეტილება სწორედ ასეთ შემთხვევას წარმოადგენს და იმას, თუ რას ლაპარაკობენ 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, მნიშვნელობა არ აქვს.

– რა თქმა უნდა, ჩვენ ერთად ვსადილობთ, მე ჩემი ნაოჭებით, ის საკუთარი ახალგაზრდობით, მაგრამ ასეა. ეს არჩევანი რომ არ გამეკეთებინა, შეცდომას დავუშვებდი, – აღნიშნა მაკრონმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.**

**ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.**

**მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

- სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# დინამო დამაჯერებლად იგებს და ლიდერობს

**დინამო (თბ)-ჩიხურა 5:0**

**თბილისი.** დინამო არენა

1:0 გრიგალაშვილი (34სკ), 2:0 შულაია (53), 3:0, 4:0 მიქელთაძე (54, 74), 5:0 ქოჩლაძე (82)

**დინამო:** რევიშვილი, გეგეჭკორი, კობოური, თოთაძე, თევზაძე, ქარდავა (ლილუაშვილი 82), ნინუა, შულაია, ჩაკვეტაძე, მიქელთაძე, კოვტალიუკი (ქოჩლაძე 67)

**ჩიხურა:** მწყერაშვილი, თორ. გრიგალაშვილი, მირცხულავა, ფონიავა (კვერნაძე 61), გაბედავა (გორგიაშვილი 61), სარდალიშვილი (დეკანოიძე 61), კაკუბავა, ივანიშვილი, ჩიკვაიძე, კაშია, ტატანაშვილი

ტურის ცენტრალურ შეხვედრაში „დინამო არენაზე" ერთმანეთს თბილისის დინამო და საჩხერის ჩიხურა დაუპირისპირდნენ. დინამოელებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს და დამაჯერებლად 5:0 იმარჯვეს.

მატჩის პირველი ნახევარი არცთუ ისე საინტერესო გამოდგა. თამაში დაბალ ტემპში მიმდინარეობდა და მომენტები იშვიათად იქმნებოდა. მიუხედავად ამისა, დედაქალაქელებმა ანგარიშის გახსნა პირველივე ნახევარში მოახერხეს.

34-ე წუთზე აკაკი შულაიას გამჭოლი გადაცემის შედეგად, ბურთი საკუთარ კარში თორნიკე გრიგალაშვილმა ჩაჭრა.

მე-2 ტაიმში გულშემატკივარმა განსხვავებული თამაში იხილა. დინამოელებმა ტემპს მოუმატეს და 2-წუთიან მონაკვეთში მეტოქეს ორჯერ გაუტანეს: ჯერ 53-ე წუთზე შულაიამ გაიტანა, შემდეგ კი, ლევან გეგეჭკორის პასით მიქელთაძემ მოახერხა ზურაბ მწყერაშვილის კარის აღება.

ამის შემდეგ დინამო სრულ სათამაშო უპირატესობას დაეუფლა და შეიძლება ითქვას, რომ მეტოქეს მის კართან რეალური საგოლე მომენტი არ შეუქმნია. დინამოელებმა თამაშის ტემპი არ დააგდეს და მატჩის დასრულებამდე კიდევ ორჯერ გაიტანეს. 74-ე წუთზე შულაიას გადაცემით ბექა მიქელთაძემ დუბლი გაიფორმა. 82-ეზე კი, შეცვლაზე შემოსულმა ლაშა ქოჩლაძემ მეხუთედ აიღო მეტოქის კარი და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.



**კოლხეთი-ლოკომოტივი 1:2**

**სამტრედია.** ეროსი მანჯგალაძე

0:1 სიხარულიძე (20), 1:1 დერებჩინსკი (39), 2:1 გავაშელიშვილი (50)

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, გ.კილასონია, გოგონაია, ნონდი, კერძევაძე, კაკულია (ჟიშკარიანი 46), დერებჩინსკი, ოტიენო, ბახია (ბუხაიძე 78), ბოლქვაძე (ჯანელიძე 67), ვ.კილასონია

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ჩიტეიშვილი, სიხარულიძე, ნ.ქავთარაძე, დიასამიძე (ჭანტურია 76), კიკაბიძე (გავაშელიშვილი 46), არველაძე (გოროზია 58), კობახიძე, რეხვიაშვილი, უბილავა, სამურკასოვი

მატჩი ლოკოს სრული უპირატესობით წარიმართა და მისი გამარჯვებით 2:1 დასრულდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, თბილისელთა შემტევებს მომენტები რომ გამოეყენებინათ, ანგარიში ბევრად შთამბეჭდავი იქნებოდა.

პირველი გოლი დედაქალაქელებმა გაიტანეს: მე-20 წუთზე გიორგი დიასამიძის მოწოდებული კუთხურის შემდეგ გიორგი რეხვიაშვილის თავური ფოთელმა ფეხბურთელმა კარის ხაზიდან გამოიტანა, მაგრამ დამატებაზე ბურთთან პირველი ირაკლი სიხარულიძე გაჩნდა და ცარიელ კარში გაიტანა.

ლოკოს დიდი უპირატესობის მიუხედავად, კოლხეთმა ანგარიშის გათანაბრება მაინც მოახერხა: 39-ე წუთზე სანდრო ბახიას ჩაწოდების შედეგად თავური დარტყმით ალექსანდრ დერებჩინსკიმ გაიტანა – 1:1 და პირველი ნახევარიც ამავე ანგარიშით დასრულდა.

მე-2 ტაიმიც იგივე სცენარით წარიმართა – პირველივე წუთებიდან ლოკომოტივმა მწვავედ შეუტია და 50-ე წუთზე მამია გავაშელიშვილმა საჯარიმოს მისადგომებიდან ზუსტი დარტყმით გაიტანა.

დარჩენილ დროში ორივე გუნდის აქტიურობის მიუხედავად, გავაშელიშვილის გოლი საბოლოო გამოდგა. ამ გამარჯვებით გიორგი დევდარიანის გუნდმა მე-4 ადგილი განიმტკიცა და სამეულისთვის ბრძოლას განაგრძობს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 23 | 17 | 2 | 4 | 60-16 | 53 |
| 2.ტორპედო | 23 | 14 | 5 | 4 | 33-17 | 47 |
| 3.სამტრედია | 23 | 13 | 5 | 5 | 35-23 | 44 |
| 4.ლოკომოტივი | 23 | 11 | 3 | 9 | 39-30 | 36 |
| 5.საბურთალო | 23 | 10 | 3 | 10 | 32-28 | 33 |
| 6.ჩიხურა | 23 | 10 | 3 | 10 | 30-39 | 33 |
| 7.დინამო (ბთ) | 23 | 8 | 2 | 13 | 21-30 | 26 |
| 8.დილა | 23 | 5 | 7 | 11 | 25-35 | 22 |
| 9.კოლხეთი | 23 | 4 | 7 | 12 | 21-40 | 19 |
| 10.შუქურა | 23 | 2 | 5 | 16 | 21-59 | 11 |

ბომბარდირები: ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი) – 18 ბურთი; დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 12; ბაჩანა არაბული (დინამო თბ) – 11; მიკოლა კოვტალიუკი (დინამო თბ) – 10.

# 17 წლამდე ნაკრებმა

## ბანიკოვის ტურნირი მეორედ მოიგო



საქართველოს 17-წლამდე ნაკრებმა კიევში მიმდინარე ვიქტორ ბანიკოვის სახელობის ტურნირის ფინალში ისრაელს 4:1 მოუგო და ზედიზედ მეორედ მოიპოვა თასი.

პირველი ტაიმის შემდეგ საქართველოს ნაკრები ისრაელს 3:0 ამარცხებდა. ზურაბ დავითაშვილმა მე-4 და მე-6 წუთებზე ისრაელის კარი აიღო და დუბლი გაიფორმა, გიორგი შალიკაშვილმა კი პირველი ტაიმის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

მე-2 ტაიმში კი 65-ე წუთზე ხვიჩა კვარაცხელიამ ისრაელის კარში მე-4 გოლი გაიტანა. ბოლო წუთებში ნაკრებმა ერთი გოლი გაუშვა და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა 4:1.

გიორგი ნემსაძის გუნდმა კიევში გამართული ოთხივე მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა. ჯგუფში ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს ბელარუსი (4:0), უკრაინა (3:2), ესტონეთი (2:1) და ბოლოს უკვე ისრაელიც.

ქართველებმა ტურნირზე 2 ინდივიდუალური პრიზიც მოიპოვეს: საუკეთესო მეკარედ ლუკა ხარშილაძე დაასახელეს, ხოლო ბომბარდირი ნაკრების კაპიტანი ზურაბ დავითაშვილი გახდა 5 გატანილი გოლით. საჩემპიონო თასი ჯვაროსნებს უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა ანდრი პაველკომ გადასცა.

გიორგი ნემსაძემ ფინალში ასეთი შემადგენლობა ათამაშა: ხარშილაძე, გელაშვილი, მექვაბიშვილი, ნონიკაშვილი, ჩოთალიშვილი, შალიკაშვილი (ლორთქიფანიძე 77), აზაროვი, კაპანაძე, დავითაშვილი (ჯანგველაძე 80), გულიაშვილი (ჩარკვიანი 64), კვარაცხელია.

# საფრანგეთმა მსოფლიოს თბილისიდან გადახედა

საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონია და ამ გუნდმა ამის გაკეთება თბილისში მოახერხა. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქმა 19 წლამდე ასაკის ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა და ფრანგთა მართლაც დიდებულმა გუნდმა მთელი ტურნირი ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა.

28:25 – ასეთი ანგარიშით გაიმარჯვეს ერიკ ქუინტინის ბიჭებმა ფინალში, სადაც მეტოქედ ესპანეთი ჰყავდათ. მომავალ ჩემპიონებს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა სწორედ ამ ნაკრებმა გაუწია. მეტიც, ესპანელებს პირველ ტაიმში თამაში მიჰყავდათ კიდეც და რამდენჯერმე სოლიდური სხვაობითაც იყვნენ დაწინაურებულები, მაგრამ ბოლოს ფრანგებმა ჩამორჩენის შემცირება მაინც მოახერხეს. ტაიმი ესპანეთმა მინიმალური სხვაობით – 13:12 მოიგო.

შესვენების შემდეგ საფრანგეთი, ისევე, როგორც ჩემპიონატის ყველა წინა შეხვედრისას, გაცილებით მობილიზებული და მოტივირებული გამოვიდა. მათ გოლების გატანა დაიწყეს და მეტოქეს ერთბაშად 5 უპასუხო ბურთი მიართვეს და ეს უპირატესობა მატჩის ბოლომდე ხელიდან აღარ გაუშვიათ.




ყველაზე ცოტა გოლი საფრანგეთის ნაკრებმა ამ შეხვედრაში გაიტანა, თუმცა შინ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა. აკი პირველობასაც სწორედ ეს გუნდი იმსახურებდა.

მესამე ადგილისთვის შეხვედრაში დანიამ 30:29 დაამარცხა ხორვატია.

მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ მაქსიმ პოპოვი (რუსეთი) აღიარეს, საუკეთესო მარცხენა გარემარბი ემილ იაკობსენი (დანია) გახდა, მარცხენა შუამარბი – ემილ ლაერკე (დანია), მარჯვენა გარემარბი – ედუარდ კემპფი (საფრანგეთი), მარჯვენა შუამარბი – ივან მარტინოვიჩი (ხორვატია), ხაზის მოთამაშე – ლუიშ ფრადე (პორტუგალია), საუკეთესო გამთამაშებელი – იან სერანო ტარაფეტა (ესპანეთი). ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ ფრანგი კილიან ვილენიმო დაასახელეს, ბომბარდირის პრიზი კი 66 გოლის გამტან ისლანდიელს, ტეიტურ ორნ ეინარსონს გადაეცა.

## შედეგები

**20 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჰადერსფილდი-ნიუკასლი ............ 1:0
ტოტენჰემი-ჩელსი ........................ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 2.ჰადერსფილდი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 3.ვესტ ბრომვიჩი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 4.უოტფორდი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 5.ლივერპული | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 6.საუთჰემპტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7.სიტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 8.ლესტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 3 |
| 9.ტოტენჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 10.ევერტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 11.არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 12.ჩელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 13.ბარნლი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 14.სტოკი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 15.სუონსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |
| 16.ბორნმუთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 17.ნიუკასლი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 18.ბრაიტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |
| 19.კრ.პალასი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |
| 20.ვესტ ჰემი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბილბაო-ხეტაფე .......................... 0:0
ბარსელონა-ბეტისი ...................... 2:0
დეპორტივო-რეალი ..................... 0:3

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ოვიედო-რაიო ............................. 2:3
ხიმნასტიკი-ალმერია ..................... 0:1
გრანადა-ალბასეტე ....................... 0:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ფრაიბურგი-აინტრახტი ................. 0:0
გლადბახი-კიოლნი ........................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 2.ბაიერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 3.ჰერტა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 4.შალკე | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 5.გლადბახი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 6.ჰამბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 7.ჰანოვერი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 9.აინტრახტი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 10.ფრაიბურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 11.აუგსბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 12.კიოლნი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 13.მაინცი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 14.ვერდერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 15.ლევერკუზენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 16.ლაიპციგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 17.შტუტგარტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 18.ვოლფსბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ინგოლშტადი-რეგენსბურგი .......... 2:4
ნიურნბერგი-უნიონი ..................... 2:2
კილი-ფიურტი .............................. 3:1

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-რომა ........................... 0:1
ბოლონია-ტორინო ........................ 1:1
კროტონე-მილანი ......................... 0:3
ინტერი-ფიორენტინა ..................... 3:0
ლაციო-სპალი .............................. 0:0
სამპდორია-ბენევენტო .................. 2:1
სასუოლო-ჯენოა ........................... 0:0
უდინეზე-კიევო ............................ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 2.ინტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 3.იუვენტუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 4.ნაპოლი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 5.კიევო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 6.რომა | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 7.სამპდორია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 8.ბოლონია | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 9.ჯენოა | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 10.ლაციო | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 11.სპალი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 12.სასუოლო | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 13.ტორინო | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 14.ატალანტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 15.ბენევენტო | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 16.უდინეზე | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 17.ვერონა | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 18.კალიარი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| 19.კროტონე | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| 20.ფიორენტინა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლილი-კაენი ................................ 0:2
მარსელი-ანჟე ............................. 1:1
პსჟ-ტულუზა ............................... 6:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 3 | 3 | 0 | 0 | 11-2 | 9 |
| 2.მონაკო | 3 | 3 | 0 | 0 | 8-3 | 9 |
| 3.სტ.ეტიენი | 3 | 3 | 0 | 0 | 5-0 | 9 |
| 4.ლიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-4 | 7 |
| 5.მარსელი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 6.ბორდო | 3 | 1 | 2 | 0 | 7-5 | 5 |
| 7.ანჟე | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 8.ტრუა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 9.მონპელიე | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 10.სტრასბური | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 11.ნიცა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 12.კაენი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-2 | 3 |
| 13.ლილი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 14.გენგამი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 15.ნანტი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |
| 16.ტულუზა | 3 | 1 | 0 | 2 | 5-9 | 3 |
| 17.რენი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| 18.დიჟონი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-9 | 1 |
| 19.მეცი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |
| 20.ამიენი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-7 | 0 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ექსელსიორი-ფეინოორდი ............ 0:1
აიაქსი-გრონინგენი ....................... 3:1
უტრეხტი-ტილბურგი ..................... 2:0
ბრედა-პსვ ................................... 1:4
სპარტა-ზვოლე ............................. 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

სეტუბალი-შავიში ........................ 1:1
პორტუ-მორეირენშე ...................... 3:0
ავიში-ბრაგა ................................ 0:2
მარიტიმუ-ბოავიშტა ..................... 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ამკარი-ზენიტი ............................ 0:1
დინამო-უფა ................................ 1:1
როსტოვი-კრასნოდარი .................. 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-ლუგანო ........................... 1:1
გრასჰოპერსი-სტ.გალენი ............... 2:0
სიონი-ლუცერნი ........................... 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ლინცერი-ალტახი ......................... 0:0
ზალცბურგი-სტ.პოლენი ................. 5:1
მატერსბურგი-აუსტრია .................. 1:3

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი ........... 2:3
კორტრაიკი-ბრიუგე ...................... 1:2
მუსკრონი-გენტი .......................... 3:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-პანეთოლიკოსი ..................... 2:0
კერკირა-პანიონიოსი .................... 0:1
ლევადიაკოსი-პაოკი ..................... 0:0
პლატანიასი-პანათინაიკოსი .......... 1:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-გიოზთეფე ...................... 1:0
ანტალია-აკჰისარი ....................... 2:2
ფენერბახჩე-ტრაბზონი .................. 2:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

იიჰლავა-პლზენი .......................... 1:2
სიგმა-ბრნო ................................. 3:0
იაბლონეცი-დუკლა ....................... 2:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პლოცკი-ლეგია ............................ 0:1
ნეცეჩა-ლეხი ............................... 1:3

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ზვეზდა-ზორია ............................. 2:1
კარპატი-ოლექსანდრია ................. 0:0
ვორსკლა-მარიუპოლი ................... 1:0
დინამო-სტალი ............................. 4:1

**დანია. სუპერლიგა**

ოდენსე-მიდტიულანდი ................. 0:2
ჰობრო-ლუნგბიუ .......................... 3:0
ორხუსი-ბრონდბიუ ...................... 2:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ესტერსტუნდი-აიკი ..................... 0:3
დიურგარდენი-ჰალმშტადი ............ 2:1
გიოტებორგი-ჰაკენი ..................... 1:1
სირიუსი-ნორჩიოპინგი ................. 0:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

რუსენბორგი-ჰაუგესუნდი ............. 0:1
სონგდალი-კრისტიანსუნი ............. 2:0
სტაბეკი-მიოლდე ......................... 3:2
ტრომსო-ალესუნდი ...................... 3:2
ოდ გრელანდი-სანდერფიორდი .... 1:0
ვიკინგი-ბრანი ............................. 2:4

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-ილვესი .............................. 1:1
კუუპიო-მარიეჰამნი ..................... 2:1
ჯჯკ-ჰიკი .................................... 0:4

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## სასამართლომ პიტსა და ჯოლის მხატვრისთვის 565 ათასი ევროს გადახდა დააკისრა

პარიზის სასამართლომ ჰოლივუდის მსახიობებს ბრედ პიტსა და ანჯელინა ჯოლის ფრანგი მხატვრის ოდილ სუდანისთვის 565 ათასი ევროს გადახდა დააკისრა პროვანსში შატოში შესრულებული სამუშაოსთვის.

როგორც თავად მხატვარი ამტკიცებს, ამერიკელმა მსახიობებმა მისი კომპანია Lumieres Studio „ფინანსურ კრახამდე" მიიყვანეს, ვინაიდან მამულ „მირვალში" ჩატარებული მასშტაბური სამუშაოებისთვის თანხა არ გადაიხადეს.

არსებული მონაცემებით, რაიმე სახის კონტრაქტი გაფორმებული არ ყოფილა. სამუშაოებ-



ში 17 ადამიანი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის არქიტექტორები და დიზაინერები, მაგრამ პროექტი აღარ დასრულებულა. სუდანის თქმით, მისთვის უცნობია, თუ რატომ შეუწყვიტეს შესრულებული სამუშაოებისთვის თანხის გადახდა.

როგორც დიზაინერმა აღნიშნა, ის იძულებული გახდა, სამუშაოები შეეჩერებინა, როდესაც მისი მოთხოვნა პერსონალისთვის ფულის გადახდის თაობაზე უპასუხოდ დარჩა. სუდანმა მართალია ანაზღაურება მიიღო, მაგრამ ის დღემდე აგრძელებს ბრძოლას იმისთვის, რომ ის პროექტის შემქმნელად აღიარონ (რომელზეც მუშაობა მის ერთ-ერთ ყოფილ თანამშრომელს გადაეცა).

პიტის იურისტები ამტკიცებენ, რომ პროექტის იდეები უშუალოდ მსახიობისგან მომდინარეობდა.

## დი კაპრიო და უინსლეტი საფრანგეთში ერთად ისვენებენ



ფილმ „ტიტანიკის" ვარსკვლავები ლეონარდო დი კაპრიო და კეიტ უინსლეტი საფრანგეთში ერთად დასვენების დროს შენიშნეს. უინსლეტი სენ-ტროპეში თავისი მეგობრის და კოლეგის საქველმოქმედო აუქციონზე ივლისის ბოლოს ჩავიდა, თუმცა მათი ერთობლივი ახალი ფოტოსურათები მხოლოდ ახლახან გავრცელდა.

მათ ფანებს ურჩევნიათ დი კაპრიოსა და უინსლეტის რომანი რეალურ ცხოვრებაში იხილონ, მაგრამ კეიტი 2012 წლიდან ნედ-როკნროლზეა გათხოვილი და ნიუ-იორკში საქორწინო ცერემონიის დროს საკურთხეველთან ის მისმა კოლეგამ „ტიტანიკიდან" მიიყვანა.

თავად დი კაპრიო კი ოფიციალურად დაქორწინებული არ არის.

## ჯონი დეპი ბავშვთა საავადმყოფოში ჯეკ ბეღურას სახით მივიდა



ამერიკელი მსახიობი ჯონი დეპი ვანკუვერის ერთ-ერთ ბავშვთა საავადმყოფოში ფილმიდან „კარიბის ზღვის მეკობრეები" თავისი გმირის ჯეკ ბეღურას სახით მივიდა.

მსახიობი კანადაში ფილმ „რიჩარდი ამბობს „ნახვამდის" გადაღებებზეა ჩასული და მიუხედავად დაძაბული სამუშაო გრაფიკისა, მაინც გამონახა დრო ბავშვთა საავადმყოფოში მისასვლელად.

დეპი სხვადასხვა ასაკის და რამდენიმე განყოფილების, მათ შორის, ონკოლოგიურის პაციენტებს შეხვდა. როგორც საავადმყოფოში განაცხადეს, მსახიობმა მათ დაწესებულებაში ხუთ საათზე მეტხანს დაჰყო.

ერთ-ერთი პაციენტის დედის თქმით, დეპი თავისი გმირის როლიდან არ გამოსულა. მან ასევე განაცხადა, რომ კაპიტან ჯეკთან შეხვედრა მისი შვიდი წლის გოგონას ახდენილი ოცნება იყო.

## ბრიტნი სპირსი ანდერძს შვილების გამო გადაწერს



ამერიკელი მომღერალი ბრიტნი სპირსი თავის ანდერძს საკუთარი შვილების გამო გადაწერს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომღერალმა ანდერძი ჯერ კიდევ შვილების გაჩენამდე დაწერა. ამ დროისთვის შონი 11, ხოლო ჯეიდენი 10 წლისაა.

ანდერძის ამჟამინდელი ვერსიიდან გამომდინარე, სპირსის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი შვილები 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ მთელ მის ქონებას მიიღებენ, რომელიც ასეულობით მილიონ დოლარადაა შეფასებული.

პრობლემა ანდერძში მითითებულ ბავშვების ასაკში მდგომარეობს, განმარტავს გამოცემა და იქვე ამატებს, რომ 18 წლის ახალგაზრდისთვის მთელ ქონებაზე ხელმისაწვდომობა, არც თუ ბრძნული გადაწყვეტილებაა.

ახალი გეგმის თანახმად, სპირსის შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევისას ქონებაზე შეზღუდული წვდომა ექნებათ, დამატებით წვდომას 25 წლის ასაკში, ხოლო სრულს 35 წლის ასაკში მიიღებენ.

## ყველაზე მაღალანაზღაურებადი დიჯეი რიანას საღამოზე გამოვა

კელვინ ჰარისი, რომელიც ახლახან კვლავ აღიარეს მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად დიჯეიდ, მომღერალ რიანას საქველმოქმედო საღამოზე გამოვა. ამ ინფორმაციას ასოშეიტედ პრესი ავრცელებს.

ჰარისი რიანას ჰიტის „We Found Love-ს" ავტორი და პროდიუსერია. ამ სიმღერამ მათ 2013 წელს „გრემის" პრემია მოუტანა. მომღერა-



ლი და დიჯეი ასევე ერთად მუშაობდნენ კომპოზიციაზე „This Is What You Came For".

მესამე Diamon Ball-i 14 სექტემბერს ნიუ-იორკში გაიმართება. მასზე ასევე გამოვა კენდრიკ ლამარი, ხოლო წამყვანი დეივ შაპელი იქნება.

## ელვის პრესლის ნივთები აუქციონზე 1,5 მილიონ დოლარად გაიყიდა

როკ-ნ-როლის მეფის ელვის პრესლის კუთვნილი ნივთების აუქციონმა მის მომწყობებს 1,5 მილიონი დოლარის შემოსავალი მოუტანა.

ვაჭრობა მუსიკოსის დაღუპვის 40 წლისთავს მიეძღვნა. შეგახსენებთ, რომ ლეგენდარული მუსიკოსი 1977 წლის 16 აგვისტოს გარდაიცვალა.

აუქციონი მემფისში გაიმართა, სადაც მუსიკოსის რეზიდენციაა განთავსებული. ერთ-ერთი სცენური კოსტიუმი, რომლითაც პრესლი 1975 წელს გამოდიოდა, 250 ათას დოლარად გაიყიდა.

პოპულარობით სარგებლობდა ასევე საიუველირო ნაკეთობები, მათ შორის ყელსაბამი



(139 ათასი დოლარი) და ბეჭედი (112,5 ათასი დოლარი).

ასევე გასაყიდად იყო გამოტანილი სხვადასხვა საბუთები. საერთო ჯამში პრესლის თაყვანისმცემლებს 315 ლოტი შესთავაზეს.

## ჯიჯი ჰადიდი დონალდ ტრამპს დაუპირისპირდა



მოდელი ჯიჯი ჰადიდი სოციალურ ქსელებში აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის წინააღმდეგ გამოვიდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

22 წლის ჰადიდმა ჰოლივუდის ელიტის სხვა წარმომადგენლების კვალდაკვალ კომენტარი გაუკეთა ქვეყნის მეთაურის პრესკონფერენციას, რომელიც შარლოტსვილის მოვლენებს მიეძღვნა. ტრამპმა მომხდარში „ორივე მხარე" დაადანაშაულა.

– ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა ჩემში დაბნეულობას იწვევს და მადარდებს, – განაცხადა ჰადიდმა, რომლის მშობლები ემიგრანტები არიან,

მან აღნიშნა, რომ ულტრამემარჯვენეების მოქმედება ეწინააღმდეგება აშშ-ის კონსტიტუციის პირველ შესწორებას, რომელიც სიტყვის თავისუფლების გარანტიას იძლევა.

## მადონას ქალიშვილი ქუჩის ტანსაცმლის ბრენდის სახე გახდა



ამერიკელი მომღერალის მადონას ქალიშვილი ქუჩის ტანსაცმლის ბრენდის სახე გახდა. ამ ინფორმაციას გამოცემა მეგეზინი ავრცელებს.

ლურდეს ლეონი გადაიღეს კამპანიაშიMademe X-Girl. ლეიბლი ეძებდა ჰარმონიას, რომელიც საკუთარ თავში ერთმანეთს შეუხამებდა სიმკვეთრეს და ქალურობას და მისი არჩევანი მადონას ქალიშვილზე შეჩერდა.

როგორც დიზაინერმა ერინ მაჯიმ განაცხადა, მას ლეონთან მუშაობა ყოველთვის სურდა.

გადაღებები ნიუ-იორკის მეტროში, სექსშოპებში, სახურავებზე მიმდინარეობდა. მაჯის თქმით, მუშაობა მეტად ცივ ამინდში უწევდათ, მაგრამ ლეონი მეტად პროფესიონალურად და მოთმინებით იქცეოდა,

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 22 აგვისტოსთვის



**ვერძი** – წინააღმდეგობრივი დღეა. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა არ გაამართლებს. საღამოს სასიხარულო ახალ ამბავს შეიტყობთ. ** კურო** – ხელსაყრელ შემოთავაზებაზე უარს ნუ იტყვით. ეს დღე მამაკაცებისათვის ძალზე იღბლიანია. **ტყუპები** – იოლად არავის მიენდოთ. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე სიტუაცია კარგად გააანალიზეთ. **კირჩხიბი** – ნურაფრის შეგეშინდებათ. საკუთარი ძალების რწმენა იქონიეთ. **ლომი** – შესაძლოა იმედი გაგიცრუვდეთ. ზედმეტი მიმნდობლობა დაგაზარალებთ. **ქალწული** – ბიზნესპარტნიორებთან კავშირი წარმატებულია. ასევე გელით ახალი და საინტერესო შემოთავაზება. **სასწორი** – იფრთხილეთ. ნუ აჩქარდებით. საკვების ხარისხს დიდი ყურადღება მიაქციეთ. **ღრიანკალი** – ნუ იქნებით კატეგორიული. გრძნობებს არ აჰყვეთ. წინდახედულობა დღის დევიზია. **მშვილდოსანი** – ყოველგვარი არასაჭირო კავშირი საჩქაროდ გაწყვიტეთ. მეტისმეტი მიმნდობლობა საქმეს გაგიფუჭებთ. **თხის რქა** – მერკურის მფარველობა საშუალებას მოგცემთ, ბიზნესში ახალი მწვერვალები დაიპყროთ. მეგობრის რჩევა ყურად იღეთ. **მერწყული** – ილუზიებისგან დაუყოვნებლივ გათავისუფლდით. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **თევზები** – კრიტიკული დღეა. იძულებული ხართ, ტრადიციების არ უღალატოთ. საღამოს საოჯახო საქმეები მოაგვარეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქარის მიმართულებისა და სიჩქარის მაჩვენებელი მეტეოროლოგიური ხელსაწყო; 2. სატანვარჯიშო სკოლა ძველ საბერძნეთში; 3. ერთკუზიანი აქლემი; 4. ტრამვაის მძღოლი; 5. სპორტის სათამაშო სახეობა; 10. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 11. ჩქარტემპიანი ესპანური ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 12. ალუმინის შემცველი მადანი; 13. ცნობილი უკრაინელი ფეხბურთელი; 16. ლატვიის ძველი სახელწოდება; 17. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 19. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი შვედური ფირმა; 21. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 23. სამონასტრო კომპლექსი კასპის რაიონში.

**თარაზულად:** 6. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 7. ორლოპოტიანი ნიჩბებით სამართავი სპორტული ნავი; 8. ეთიოპიის იმპერატორთა ტიტული; 9. ტყავის დამამუშავებელი საამქრო ძველად; 14. ჩეჩნებისა და ინგუშების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 15. ორკუზიანი აქლემი; 18. ბალჩეული ხილი; 20. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 22. ქართული სიგარეტი; 24. ფიგურული სახაზავი; 25. უმაღლესი წოდება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 26. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. კანადა; 5. პირამიდა; 6. სიმბა; 7. აქსიომა; 8. ეთნოსი; 10. არაკი; 13. იდეალი; 15. ლიმიტი; 16. ნიკე; 17. ვირა; 20. ლეირდი; 21. კიოსკი; 22. პროლოგი; 23. ლინონი.

**შვეულად:** 1. პაროდია; 2. ნაფთალინი; 3. ლიგროინი; 4. კაქტუსი; 5. პიროლი; 9. სკივრი; 11. კონკური; 12. ფიკუსი; 14. ეპილოგია; 18. ანხოი; 19. კროლი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ეშაფოტი; 2. გარდი; 3. რო; 4. მელ; 5. ფრე; 6. ბანი; 7. კია; 8. იშემია; 9. მუშტრა; 10. პიერ; 11. არ; 12. ალენ; 13. ფრუ; 14. კატალოგი; 15. სირია; 16. მიო; 17. ინტინა; 18. იმამი; 19. სერ; 20. იაგუარი; 21. ლა; 22. ალი; 23. ანანკე; 24. ალაზანი; 25. იან; 26. არა; 27. ლამარია; 28. მახა; 29. ბალი; 30. არაყი; 31. ესკიმო; 32. კოლი; 33. ორლი; 34. სიო; 35. პა; 36. ლია; 37. ნალი.

**სურათებზე:** ლუსია მენდესი; ანხელ დი მარია.

## ანი გიუნტერი ავარიაში მოყვა



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წამყვანი ანი გიუნტერი მეგობართან, ვიკა კალანდიასთან ერთად ავარიაში მოყვა.

ტელეწამყვანი თბილისიდან ბათუმში მიემგზავრებოდა. შემთხვევა შეკვეთილთან მოხდა. ინფორმაცია ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ და ფოტოები ანი გიუნტერმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

– სერიიდან ჩვენ ხომ ყველაფერში გვიმართლებს... როგორ შეიძლება ისე ჩაგიაროს მანქანამ, სარკე დაამსხვრიოს, სახეზე მოგხვდეს ასე ლამაზად და დეკოლტეზე მოგეფინოს?!

## ბიძინა მახარაძეს საიუბილეო კონცერტის დაფინანსებაზე კულტურის სამინისტრომ და მერიამ უარი უთხრა



65 წლის იუმორისტს ბიძინა მახარაძეს საქართველოს კულტურის სამინისტრომ და თბილისის მერიამ საიუბილეო კონცერტის გამართვაზე უარი უთხრა.

„იუმორინას“ უცვლელი წევრის იუბილესადმი მიძღვნილ პროექტთან დაკავშირებით უწყებების პასუხი ასეთია – „სამწუხაროდ, პროექტი არ იქნა მხარდაჭერილი“.

ინფორმაცია იუმორისტმა მამუკა ლომაშვილმა გაავრცელა:

– 1.900.000 ათასი ლარით დააფინანსეს გაურკვეველი ფორმის ფესტივალი მაშინ, როცა „ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრ მაჩაბელას“ ორი პროექტიდან, ბავშვთა და მოზარდთა თეატრალური ფესტივალი, სადაც მონაწილეობას თითქმის ყველა რეგიონიდან იღებენ თეატრალური სტუდიები და ჯგუფები, და ბიძინა მახარაძის იუბილე, რომლის ბიუჯეტიც 8 000 ლარია, არც ერთი დააფინანსა არც სამინისტრომ და არც თბილისის მერიამ... ეს უკანასკნელი ჯერაც ვერ მომინელებია... მთელ ისტორიას დავდებ მოგვიანებით...

ამხელა რანგის არტისტმა, 65 წლის ასაკში პირველად გადაწყვიტა გაეკეთებინა საიუბილეო კონცერტი და „სამწუხაროდ, პროექტი არ იქნა მხარდაჭერილი“ რატომ? რატომ აი, რატომ?

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ოსკარზე მოსახვედრად 4 ქართული ფილმი იბრძოლებს



ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად წელს 4 ქართული ფილმი იბრძოლებს.

ამერიკის კინოაკადემიამ ტრადიციულად თხოვნით მიმართა ეროვნულ კინოცენტრს, შეერჩია 2017 წლის კანდიდატი ფილმი საქართველოდან ოსკარის ნომინაციისთვის – საუკეთესო უცხოენოვანი ფილმი.

ეროვნულმა კინოცენტრმა განაცხადების მიღება დაიწყო, რომელიც 11 აგვისტოს დასრულდა. ამერიკის კინოაკადემიის მოთხოვნების გათვალისწინებით, ეროვნულ კინოცენტრში სულ 4 განაცხადა შევიდა. შესაბამისად, ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად წელს შემდეგი 4 ქართული ფილმი იბრძოლებს:

„ჩემი ბედნიერი ოჯახი“ – რეჟისორები ნანა ექვთიმიშვილი და სიმონ გროსი, „მძევლები“ – რეჟისორი რეზო გიგინეიშვილი, „საშიში დედა“ – რეჟისორი ანა ურუშაძე, „ლუკა“ – რეჟისორი გიორგი ბარაბაძე.

ქართველ საზოგადოებას უკვე აქვს ინფორმაცია სამი ფილმის „ჩემი ბედნიერი ოჯახი“, „მძევლები“ და „საშიში დედა“ შესახებ, რომლებმაც სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებზე გამარჯვებები მოიპოვეს. რაც შეეხება მეოთხე ფილმს „ლუკა“, მის შესახებ ბევრი ინფორმაცია არ არსებობს, თუმცა მის შემქმნელებს სჯერათ, რომ „ლუკა“ ოსკარის უცხოენოვან ნომინაციაში მოხვედრის ღირსია.

რამდენიმე დღეში ეროვნული კინოცენტრი სპეციალური კომისიის წევრებს დაასახელებს, რომელთაც ფარული კენჭისყრის საფუძველზე საქართველოდან გამარჯვებული ფილმი უნდა გამოავლინონ. შერჩეული 4 ქართული ფილმის ჩვენება კომისიის წევრებისთვის 29-30 აგვისტოს მოეწყობა.

ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოების 90-ე საიუბილეო ცერემონიალი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან კინოღონისძიებად ითვლება, 2018 წლის 4 მარტს ლოს ანჯელესში, დოლბის თეატრში გაიმართება.

## სვერის ციხეზე სამაროვანს მიაკვლიეს



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით სვერის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სვერის ციხეზე არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა.

სვერის ციხე ჭიათურის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, ჭიათურის სამხრეთ-აღმოსავლეთით 15 კილომეტრზე, საძალიხევის მარცხენა ნაპირზე. ციხე კირქვის მასივზეა ამოზიდული და აგებული უნდა იყოს VII-VIII საუკუნეებში.

1590 წელს სვერის ციხე ქართლის მეფემ სიმონ პირველმა დაიკავა. იმერეთში ლაშქრობის დროს, ქართლის მეფემ ვახტანგ მეხუთემ აიღო და აბაშიძეთა ფეოდალურ სახლს გადასცა. მოგვიანებით ამ ციხეს იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთე დაეუფლა. ორი წლის შემდეგ აბაშიძეებმა ციხე უკან დაიბრუნეს. ხრესილის ბრძოლის შემდეგ ემორჩილებოდა იმერეთის სამეფო ხელისუფლებას.

სვერის ციხე ოსმალებმა აიღეს და დაანგრიეს, რის შემდეგაც ციხე აღადგინეს. იმერეთის აჯანყების დროს ციხე რუსეთის ჯარმა დაიკავა. ამის შემდეგ სვერის ციხემ დაკარგა ადრინდელი მნიშვნელობა და როგორც საფორტიფიკაციო ნაგებობა, გაუქმებული იქნა.

სვერის ციხე საკმაოდ მწირად არის შესწავლილი სამეცნიერო კუთხით, ამიტომ ექსპედიციამ ორი ძირითადი მიზანი დაისახა, დაედგინა არქეოლოგიური ფენების სტრატიგრაფია და მიეკვლია გვიანანტიკური ხანის სამაროვნისთვის. ექსპედიციამ არქეოლოგიური სამუშაოებისას ორივე მიზანი შეასრულა. დადგინდა ნამოსახლარის სტრატიგრაფია და მიკვლეული იქნა სამაროვანი.

არქეოლოგიური სამუშაოები ციხის სამხრეთ ფერდობზე და აღმოსავლეთი ფერდობის ქვედა ტერასაზე წარიმართა.

### სპორტი

## ალექსანდრე ანპილოგოვი: „საქართველოში დაბრუნება მინდა“

სახელგანთქმულ ქართველ ხელბურთელს, ოლიმპიურ ჩემპიონს ალექსანდრე ანპილოგოვს სპორტის რაინდის წოდება მიენიჭა. თბილისის ოლიმპიური სასახლის დიდ დარბაზს, სადაც გაიმართა მსოფლიო პირველობის ფინალი საფრანგეთის და ესპანეთის ჭაბუკთა გუნდებს შორის, ალექსანდრე ანპილოგოვის სახელი მიენიჭა.

ალექსანდრე ანპილოგოვი ხელბურთში ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონია საქართველოდან. იყო თბილისის ბურევესტნიკის ლიდერი და საბჭოთა ნაკრების უპირველესი თავდამსხმელი, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულ გოლეადორი. მისმა მონაგარმა



სპორტული კარიერის მანძილზე 7.000 გოლს გადააჭარბა.

ვეტერანი ხელბურთელი წლებია გერმანიაში ცხოვრობს, წლების წინ კი საბერძნეთის ქალ ხელბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახლდათ.

**ალექსანდრე ანპილოგოვი:**

– სპორტის რაინდის წოდება ჩემთვის დიდი პატივია. საქართველოში ვარ დაბადებული და დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩემს ქვეყანას გამოვადგე. სამწუხაროდ, ჯანმრთელობა ხელს არ მიწყობს. მაგრამ ყოველთვის ვამბობდი, რომ ბოლოს ისევ საქართველოში უნდა ვიცხოვრო. მინდა, რომ აქ კიდევ იზრდებოდნენ ხელბურთის ვარსკვლავები, რისი პოტენციალიც ნამდვილად არსებობს. საქართველოში ჩატარებული 19-წლამდელ ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვას ყველას არ ანდობენ. საქართველომ, ხელისუფლების თანადგომითა და მონდომებით კი, ეს დაიმსახურა. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ტურნირი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული და ხელბურთის საერთაშორისო ორგანიზაციის იმედები გაამართლა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

### კალეიდოსკოპი

## კაილი ჯენერმა ლოს-ანჯელესში კიდევ ერთი სახლი გაყიდა



მოდელმა და რეალიტი-შოუს ვარსკვლავმა კაილი ჯენერმა კიდევ ერთი სახლი გაყიდა ლოს-ანჯელესში. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს. გავრცელებული ინფორმაციით, კაილიმ ერთსართულიანი სახლი 2016 წლის ზაფხულში 4,5 მილიონ დოლარად შეიძინა, რათა ის Kylie Cosmetics-ს საშინაო ოფისად გამოეყენებინა.

მაგრამ გეგმები შეიცვალა და გასული წლის დეკემბერში ჯენერმა სახლი გასაყიდად 5,4 მილიონ დოლარად გამოიტანა. სახლს ოთხი საძინებელი, სასადილო ოთახები აქვს, ხოლო მის ტერიტორიაზე ასევე არის აუზი, სპა, შადრევანი და ვენახი. არც ისე დიდი ხნის წინ მოდელმა ლოს-ანჯელესში თავისი კიდევ ერთი სახლი 3 მილიონ დოლარად გაყიდა. ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯენერმა დასავლეთ ჰოლივუდში „დაწყევლილი“ სახლიც გაყიდა.

## ბრიტანეთში ქათმებს მოდური საგზაო ჟილეტები ჩააცვეს



ბრიტანეთში ვილის Glenshieling House-ს მფლობელებმა ქათმებს, რომლებიც სასტუმროს ტერიტორიაზე ბინადრობენ, სხვადასხვა ფერის სინათლის ამრეკლი ჟილეტები დაურიგეს, რათა ისინი ავტომობილების ბორბლებქვეშ არ აღმოჩნდნენ. ამის ამსახველი ვიდეო და ფოტოსურათები ფეისბუქში სასტუმროს გვერდზე იქნა განთავსებული.

სულ Glenshieling House-ში 14 ქათამი ბინადრობს, თუმცა ჟილეტები ყველაზე მოუსვენრებს ჩააცვეს.

– ჩვეულებრივ ისინი ბაღში დადიან, თუმცა ზოგიერთ მათგანს ქუჩაში ხეტიალი უყვარს, – განაცხადა ქათმების პატრონმა ლუიზა ლენოქსმა.

ჟილეტებზე წერია ქათმების მისამართი და ტელეფონის ნომერი, რომლითაც სასტუმროსთან დაკავშირებაა შესაძლებელი. სასტუმროს პატრონმა ისიც აღნიშნა, რომ ასე კიდევ უფრო მეტი ადამიანისთვის გახდება ცნობილი მისის სასტუმროს შესახებ.



## მუსიკოსი რობინ ტიკი და მისი მეგობარი გოგონა მშობლები გახდებიან

მუსიკოსი რობინ ტიკი, რომელიც ცნობილია ჰიტით Blurred Lines ფარელ უილიამსთან ერთად, მამა გახდება. ამ ინფორმაციას მომავალი ბავშვის დედა, მოდელი ლავ გირი ავრცელებს.

40 წლის ტიკს ყოფილი ცოლის პოლი პეტონისგან შვიდი წლის შვილი ჯულიანი ჰყავს. გარკვეული დროის განმავლობაში ყოფილ მეუღლეებს სასამართლოში ბრძოლა ჰქონდათ გაჩაღებული იმის თაობაზე, თუ ვისი ზრუნვის ქვეშ იქნებოდა ბიჭუნა. 22 წლის გირი მუსიკოსს ერთ წელზე მეტია, რაც ხვდება. მოდელის თქმით, მან 1 მარტს უნდა იმშობიაროს, თავისი ბოიფრენდის მამის, მსახიობ ალან ტიკის დაბადების დღეს, რომელიც 2016 წელს გარდაიცვალა.

რობინ ტიკი პრემია Billboard Music Awards-ს ლაურეატი და „გრემის“ ნომინანტია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## პროგრამა

**სამშაბათი 22 აგვისტო**

06.30 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი" გენიოსი ბიჭუნა" 09.00 ტ/სერ. "**გამარჯვებული ვიქტორია**" 10.00, 02.20 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "საუკუნის პორტრეტები" 13.10, 03.20 დღის მხ/ფ "**ქალი კამელიებით**" (გ.გარბო) 15.00, 05.10 დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 16.15 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 17.00 ტ/სერ. "**ოფისი**" 18.30 "ტელებლოგი" 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 20.40 "სპორტის დაფა" 21.00 ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" 21.40 დოკ/ფ "თოფ-გიარი" 22.40 **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის 00.30 მხ/ფ "**ჯო ტაინანის ცდუნება**" (მ.სტრიპი)

**ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.**

07.00, 14.40 სერ. "**ელიფი**" 08.00, 16.00 სერ. "**ოჯახური პორტრეტი**" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.40 ქრონიკა 09.20 სერ. "**პატარძალი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 სერ. "**ღირსების სახელით**" 17.35 სერ. "**ხაფანგი**" 18.45, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 21.00 სერ. "**ძმა**" 22.30 სერ. "**ელ პრინსიპე**" 00.00 მხ/ფ "**შიმშილის თამაშები 2**" 02.30 მხ/ფ "**მხოლოდ შეყვარებულები გადარჩებიან**" 04.55 მხ/ფ "**შიმშილის თამაშები**"

06.00, 18.45 სერ. "**კაცი**" 07.00, 19.45, 20.03 სერ. "**დესპოტი ქმარი**" 08.00 სერ. "**ინდიანა ჯონსის მემკვირდეები**" 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 09.10 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 სერ. "**ვარსკვლავის დაბადება**" 13.55 სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**წარსულის ჩრდილი**" 16.55 სერ. "**დაკარგული წლები**" 20.50 ლოტო 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 22.30 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**"-დასკვნ. 23.15 მხ/ფ 01.30 მხ/ფ 02.00 კურიერის დაიჯესტი 02.30 მხ/ფ

08.00 ან/ფ "ავატარი 2" 09.00 სერ. "**მონკი-6**" 13.00 სერ. "**ძვლები-2**" 17.00 სერ. "**სიმართლის ანატომია**" 19.00 სერ. "**გრეის ანატომია 13**" 21.00 სერ. "**კრიმინალური რომანი-2**" 22.30 სერ. "**გომორა**" 03.30 მხ/ფ "**წყნარი ოკეანის ტიტანები**" 05.45 მხ/ფ "**ნიქსონი**"

08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.20 სერ. "**მეომრები**" **ატილა** 09.20 მულტსერ. "სისი" 09.50 სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის** 10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.25, 22.25 ტელემარკეტი 11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20 ახალი ამბები 11.20 სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" 11.50 მოდი გავიყაროთ 12.40 ბენეფისი 15.00 სერ. "**ბანდოლერა**" 18.00 ღია სტუდია 19.55 მე რომ ვიყო 20.00 სერ. "**ფოილის ომი**" 21.30 კრაზანა 22.35 სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის** 0.00 მხ/ფ "**ბრმა პაემანი**" 1.30 მოდი გავიყაროთ 03.00 ღია სტუდია 04.00 სერ. "**რაუ**"

06.10 სპექტაკლი "**ასერგასის დღე**" I , II 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 09.05 "განთიადი"-კოლაჟი 09.45 პატერიკი-ვერცხლისმოყვარეობით შეპყრობილისგანკურნება 09.50 მხ/ფ "**ენი მწვანე სახურავების მამულიდან**" 10.50 დ/ფ "ველური ბუნება-გრძელფეხება მოსიარულე არწივი" 12.10 მოკ. მხ/ფ "**ლახტი**" 12.30 საქართველო ევროპულ ოჯახში 13.30 "შუადღის სტუმარი"-მღვდელი კონსტანტინე გიორგაძე-მშობლების პატივისცემა 14.00 "შუადღის სტუმარი"-დავით თამარაშვილი-მევენახეობა და მეღვინეობა 14.30 დ/ფ "ველური ბუნება-თეთრი დათვის ბილიკი" 15.05 ქართული ან/ფ 15.15 საქართველოს ისტორია "საქართველოXIXსაუკუნე" 15.45 კონცერტი 17.10 ქრისტიანული ხელოვნება "ისტორიულ პირთა პორტრეტები ქართულ ტაძართა მოხატულობებში" 18.15 თვენი "წმინდა დიდმოწამე დედოფალი ქეთევანი" 18.30 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00 სამყაროს შექმნა 19.10 მოკ. მხ/ფ "**ადგილის დედა** " 20.00 ღია აუდიტორია "მერაბ გეგია" 20.40 ძილი ნებისა "ნადირთა ძმობა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი" 22.00 ჩვენი ფონდი "ყინწვისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მოხატულობის შესახებ" 22.25 დეკორატიული ფლორა "იასამანი" 22.45 ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია-გორის ისტორიული მუზეუმი-ბრინჯაოს ხანა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "რა ხდება სიკვდილის შემდეგ" 23.40 ღვთის სახლი "ჰერეთი" 00.10 საღვთისმეტყველო საუბრები "დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია-ასკეტიზმი" 00.55 მხ/ფ "**ფესვები**"

მაესტრო 08.00 - 03.00 ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) 07.15 - 02.15 სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) 07.30- 02.30 ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) 07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00 ბიზნესი 21.00 მთავარი გამოშვება

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

22 აგვისტოსთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.3895 |
| ევრო | — 2.8067 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.0808 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.0213 |

## ამინდის პროგნოზი 22 აგვისტოსთვის





## 1 აგვისტოდან




ქართული დეტექტივი
მე-15 ტომი
მაია ბურჭულაძე
უფასო ბილეთი წარსულში
• • • • • • • • • • • • • •
ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## კილიან მბაპემ მონაკოს ვარჯიშზე იჩხუბა



მონაკოს ახალგაზრდა ფორვარდმა კილიან მბაპემ თავისი გუნდის ერთ-ერთ ვარჯიშზე თანაგუნდელთან იჩხუბა, რის შემდეგაც მან ვარჯიში ნაადრევად დატოვა. უცნობია თუ რა გახდა კონფლიქტის მიზეზი, მაგრამ ფაქტია, რომ მბაპეს მონაკოში დიდხანს დარჩენა არ უწერია. ამ ინციდენტის გამო მბაპე დროებით მოკვეთილია გუნდიდან და მან შესაძლოა რამდენიმე მატჩი გამოტოვოს.

კილიან მბაპე ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება და მისი გადაბირება მადრიდის რეალსაც სურდა, მაგრამ ჯერჯერობით ეს ტრანსფერი არ შედგა.

პსჟ მზად არის, მბაპეს ტრანსფერში 180 მილიონი ევრო გადაიხადოს.

## ნეიმარი პსჟ-ში ბედნიერია



ბრაზილიელმა სუპერვარსკვლავმა ნეიმარმა პსჟ-ში ძალიან კარგი სტარტი აიღო და 2 შეხვედრაში მან უკვე 3 გოლის გატანა მოახერხა.

განსაკუთრებით ლამაზი ტულუზას კარში გატანილი გოლი აღმოჩნდა, რომლის დროსაც ნეიმარმა მეტოქე გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი მოატყუა და შემდეგ ძლიერი დარტყმით ტულუზას კარი აიღო.

მატჩის შემდეგ ბრაზილიელმა ფორვარდმა განაცხადა, რომ პსჟ-ში ის თავს კარგად გრძნობს და შეეცდება, მომავალში კიდევ უფრო უკეთესი შედეგი აჩვენოს.

ნეიმარმა ბარსელონას ხელმძღვანელობაზეც ისაუბრა და თქვა, რომ კატალონიური გუნდი უკეთეს პრეზიდენტს იმსახურებს.

## ჯერარდმა მესუტ ოზილი გააკრიტიკა



ლივერპულის ლეგენდამ სტივერ ჯერარდმა, რომელიც ამჟამად ტელევიზიაში საფეხბურთო ექსპერტად მუშაობს, არსენალის გერმანელი ნახევარმცველი მესუტ ოზილი გააკრიტიკა. ჯერარდის თქმით, სტოკ სიტისთან მარცხი სწორედ ოზილის ბრალი იყო, რადგან ბურთის დაკარგვის შემდეგ ის საერთოდ არ ეხმარებოდა დაცვას და შეტევაშიც არ იყო ეფექტური. ჯერარდის აზრით, არსენალში ეს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რადგან შემტევი ფეხბურთელები დაცვას არ ეხმარებიან.

ჯერარდმა დასძინა, რომ არსენალს წლევანდელ სეზონშიც გაუჭირდება მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა, რადგან საკმარისად ძლიერი შემადგენლობა არ ჰყავს.

## მილანს კლაუდიო მარკიზიოს შეძენა სურს



მილანს ტურინის იუვენტუსის ნახევარმცველის კლაუდიო მარკიზიოს შეძენა სურს. მარკიზიომ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ იუვენტუსს დატოვებს, რადგან ტურინულ გუნდში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი არ არის.

იუვენტუსმა დაადასტურა, რომ მარკიზიოს წასვლა სურს, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რომელ გუნდში გააგრძელებს ის კარიერას.

იუვენტუსის ღირსებას მარკიზიო 2010 წლიდან იცავს.

## იუმორი



ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– სწავლა სინათლეა.

– ჰო, ძვირდება და ძვირდება.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– თუ გახსოვს, ჩვენი შეყვარებულობის დროს სასიყვარულო ლექსებს რომ წერდი და მიგზავნიდი?

– კი, როგორ არ მახსოვს. რა მერე?

– ჰოდა, ეგ შენი ლექსები ვიღაც გალაკტიონს მოუპარავს და წიგნად გამოუშვია.

●●●

მეძავის პანაშვიდზე მეზობლები საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– როგორც იქნა, ერთად არიან.

– ვინ?

– ფეხები.

●●●

ტელეფონი რეკავს:

– ალო, თუ შეიძლება, ქეთინოს სთხოვეთ!

– ქეთინო სახლში არ არის, ათი წუთის წინ სამშობიაროში წაიყვანეს.

– კაი, კაცო, რა მოუვიდა?

●●●

ქუჩაში:

– გოგონი, მთვრალი არ ვარ, თქვენ მართლაც ლამაზი ხართ...

– ვინაა შენი გოგონა, პატრული ვარ!

●●●

ცხოველების ბაზრობაზე კაცი გამყიდველს ეკითხება:

– რა ღირს თქვენი ძაღლი?

– 1000 ლარი.

– რა ამბავია, ერთგულია?

– კი, ძალიან, უკვე მეხუთედ ვყიდი.

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– ზოგჯერ ისე მაგრად მინდა, რომ დაგირეკო და გითხრა, თუ როგორ მენატრები...

– მერე, დამირეკე.

– ხმა მიშლის ხელს.

– რა ხმა?

– თქვენი ნომრის ანგარიშზე თანხა ამოწურულია...

●●●

ექიმი პაციენტს ეკითხება:

– ანუ თქვენ ეროტიკული სიზმრები გაწუხებთ?

– ვინ გითხრათ, რომ მაწუხებს?

●●●

ბაზარში მყიდველი გამყიდველს ეკითხება:

– რა ღირს მამალი?

– მამალი არ იყიდება.

– აბა, რაღას მოგყავდა?

– უმაგისოდ დედლები არ მოდიოდნენ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## სერია „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო – 100 წიგნი“ გრძელდება

10 აგვისტოდან
ტომი 50
პინოჩეტი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

17 აგვისტოდან
ტომი 51
იულიუს კეისარი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

24 აგვისტოდან
ტომი 52
ლინკოლნი




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

## 22 აგვისტოდან




ლაშა იმედაშვილი
ქართული დეტექტივი
ტომი 13
სამი მკვლელობა ძველ თბილისში
• • • • • • • • • • • • • • • • • • • • • • • •
პატრიარქის ზაფხული

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## ანდრეს ინიესტა ბარსადან წასვლას არ გამორიცხავს



ბარსელონას ესპანელმა ნახევარმცველმა ანდრეს ინიესტამ განაცხადა, რომ ის ბევრს ფიქრობს თავის მომავალზე და ჯერჯერობით არ იცის, გაახანგრძლივებს თუ არა კონტრაქტს ბარსელონასთან.

ინიესტას თქმით, 3 წლის წინ სხვაგვარი მდგომარეობა იყო და მას ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ ბარსელონაში დარჩებოდა, ახლა კი ბევრი რამ შეიცვალა. ბოლო პერიოდში ინიესტას ხშირად აწუხებს ტრავმები, ამიტომ ის ველარ აჩვენებს ისეთ ფეხბურთს, როგორსაც მისგან მიჩვეულია ბარსელონას გულშემატკივარი.

ტურინის იუვენტუსი დაინტერესებულია ინიესტას ტრანსფერით, ამიტომ ესპანელ ფეხბურთელს ბარსელონადან წასვლის შემთხვევაში მსურველები არ მოაკლდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ბულგარეთში; 2. ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა; 3. შვედეთის პარლამენტი; 4. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 7. სულიერი განწმენდა; 8. გუნდური შეჯიბრება ცურვასა და მძლეოსნობაში; 12. საკრედიტო დაწესებულება; 14. კარდინალთა საბჭო, რომელიც ირჩევს რომის პაპს; 16. ცხოველთა საჭერი მახე; 17. ბრიტანეთის ნაწილი; 19. მკბენარა მწერი; 20. ქართული გაზეთი.

**თარაზულად:** 5. სვანური ციხე-კოშკი; 6. ბურთის ოსტატურად ტარება ფეხბურთსა და კალათბურთში; 9. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 10. ისრაელის დაზვერვა; 11. ყურის ანთება; 13. ბარიტის საბადო რაჭაში; 15. ანგორული თხის მატყლი; 18. წნული ქოხი სამეგრელოში; 21. ფრანგული, ვაშლის ღვინო; 22. ქვის ხანის უკანასკნელი პერიოდი; 23. უძველესი ქართული სახელმწიფო.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

